ცვლილების პროექტი

„ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების წესების დამტკიცების შესახებ“ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 30 აგვისტოს №150 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1. „ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების წესების დამტკიცების შესახებ“ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 30 აგვისტოს №150 ბრძანებით დამტკიცებულ „ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების წესებში“ (www.matsne.gov.ge, 03.09.2012 წ., სარეგისტრაციო კოდი: 310150000.54.066.016032) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. პირველი მუხლის:

ა) ,, ჟ“ ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,, ჟ[1]“ და ,, ჟ[2]“ ქვეპუნქტები:

,, **ჟ[1]) საფრენოსნო ეკიპაჟის წევრის ინსტრუქტორი** - ინსტრუქტორი (ბორტინჟინერ-ინსტრუქტორის გარდა), რომელსაც ამ წესების შესაბამისად მინიჭებული აქვს საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორის (FI), სხ-ის კლასის ინსტრუქტორის (CRI), სხ-ის ტიპის ინსტრუქტორის (TRI), საწაფის ინსტრუქტორის (SFI), სფწ ინსტრუქტორის (IRI), მრავალწევრიანი ეკიპაჟის ურთიერთქმედების ინსტრუქტორის (MCCI) ოსტატობა/სერტიფიკატი და ახორციელებს საფრენოსნო ეკიპაჟის წევრის მომზადებას.

ჟ[2]) საფრენოსნო ეკიპაჟის წევრის გამომცდელი (შემდგომში - გამომცდელი) - საფრენოსნო გამომცდელი (FE), სხ-ის კლასზე გამომცდელი (CRE), სხ-ის ტიპზე გამომცდელი (TRE), საწაფზე გამომცდელი (SFE), სფწ გამომცდელი (IRE), საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორის გამომცდელი (FIE) ოსტატობის/სერტიფიკატის მფლობელი, ამ წესების შესაბამისად, სააგენტოს მიერ უფლებამოსილი პირი, რომელიც ახორციელებს საფრენოსნო ეკიპაჟის წევრების უნარების შემოწმებას, საკვალიფიკაციო შემოწმებას, კომპეტენციის შეფასებას ან/და უზრუნველყოფს ამისათვის საჭირო მომზადებას.“

ბ) „ჰ[25]“ ქვეპუნქტი ამოღებული იქნას.

გ) ჰ31) საჰაერო ხომალდის სახეობა – უმთავრესი მახასიათებლების საფუძველზე, სხ-ების დაყოფა, მაგ., თვითმფრინავი, შვეულმფრენი/ვერტმფრენი, პლანერი, თავისუფალი აეროსტატი, დირიჟაბლი და სხვა;

დ) „ჰ[38]“ ქვეპუნქტი ამოღებული იქნას.

ე) „ჰ[50]“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჰ[50]) კომპეტენციის შეფასება – ინსტრუქტორის ან გამომცდელის ოსტატობის/სერტიფიკატის პირველად მოპოვების, გაგრძელების ან განახლების მიზნით უნარების, ცოდნის და დამოკიდებულების დემონსტრირება“.

ვ) დაემატოს „ჰ[56]“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციის:

„ჰ[56]) სტუდენტი პილოტი-მეთაური (Student Pilot-in-command (SPIC) - პილოტ-კურსანტი, რომელიც ასრულებს ხომალდის მეთაურის მოვალეობას ინსტრუქტორთან ერთად ფრენისას,

რომლის დროსაც ეს უკანასკნელი მხოლოდ აკვირდება პილოტ-კურსანტს და არ ახდენს ზეგავლენას ან კონტროლს საჰაერო ხომალდის ფრენაზე;“

2. მეორე მუხლის:

ა) ,,გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,გ) ვსხ (PL) – ამწევი ძალის სამატი სისტემით აღჭურვილი საჰაერო ხომალდი (Powered-Lift aircraft);“

ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ძ“, ,,წ“, ,, ჭ“, ,,ხ“ , ,,ჯ“, ,,ჰ'' და ,,ჰ^{1}-ჰ^{16}''ქვეპუნქტები:

,,ძ) **FI** - საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორი (Flight Instructor);

წ) **CRI** - სხ-ის კლასის ინსტრუქტორი (Class Rating Instructor);

ჭ) TRI - სხ-ის ტიპის ინსტრუქტორი (Type Rating Instructor);

ხ) IRI - სფწ ინსტრუქტორი (Instrument Rating Instructor);

ჯ) SFI - საწაფის ინსტრუქტორი (Synthetic Flight Instructor);

ჰ) MCCI - მრავალწევრიანი ეკიპაჟის ურთიერთქმედების ინსტრუქტორი (Multy-Crew Cooperation Instructor);

ჰ^{1}) FE – საფრენოსნო გამომცდელი (Flight Examiner);

ჰ^{2}) CRE – სხ-ის კლასზე გამომცდელი (Class Rating Examiner);

ჰ^{3}) TRE – სხ-ის ტიპზე გამომცდელი (Type Rating Examiner);

ჰ^{4}) IRE - სფწ გამომცდელი (Instrument Rating Examiner);

ჰ^{5}) SFE - საწაფზე გამომცდელი (Synthetic Flight Examiner);

ჰ^{6}) FIE - საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორის გამომცდელი (Flight Instructor Examiner);

ჰ^{7}) A - თვითმფრინავი (Aeroplane);

ჰ^{8}) H - შვეულმფრენი / ვერტმფრენი (Helicopter);

ჰ^{9}) B - თავისუფალი აეროსტატი (Balloon);

ჰ^{10}) S– პლანერი saleplane;

ჰ^{11}) MPA - მრავალპილოტიანი თვითმფრინავი (Multi-pilot aeroplane);

ჰ^{12}) SPA – ერთპილოტიანი თვითმფრინავი (Single-pilot aeroplane);

ჰ^{13}) SP HPA - ერთპილოტიანი მაღალეფექტური მახასიათებლების მქონე კომპლექსური თვითმფრინავი (Single-Pilot High Performance complex Aeroplanes);

ჰ^{14}) LOFT - მარშრუტზე ორიენტირებული საფრენოსნო წვრთნა (Line Oriented Flight Training);

ჰ^{15}) UPRT - თვითმფრინავის გაურკვეველ სივრცულ მდგომარეობაში მოხვედრის თავიდან აცილებისა და ამ მდგომარეობიდან გამოყვანის სწავლება (Aeroplane upset prevention and recovery training);

ჰ[16]) LIFUS - მარშრუტზე ფრენა ზედამხედველობის ქვეშ (Line flying under supervision).“

3. მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ავიასპეციალისტების ოსტატობის დონის განსაზღვრას, მოწმობის, ოსტატობის და სერტიფიკატის გაცემასა და გაუქმებას, მოქმედების ვადის გაგრძელებას, განახლებას, მოქმედების ვადის შეჩერებას, აგრეთვე, სხვა სახელმწიფოს მიერ გაცემული მოწმობების აღიარებას;“.

3.მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 12. საფრენოსნო ეკიპაჟის წევრების ინსტრუქტორის და გამომცდელის ოსტატობა / სერტიფიკატი

1. საფრენოსნო ეკიპაჟის წევრების ინსტრუქტორი და გამომცდელი უფლებამოსილია განახორციელოს საფრენოსნო ეკიპაჟის წევრების:

ა) საფრენოსნო მომზადება საჰაერო ხომალდზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ფლობს:

ა.ა) პილოტის მოქმედ მოწმობას და სხ-ის მეთაურის უფლებამოსილებას, რომელიც გაცემულია ან აღიარებულია ამ წესის შესაბამისად;

ა.ბ) განსახორციელებელი საფრენოსნო მომზადების შესაბამისი ინსტრუქტორის ოსტატობას/სერტიფიკატს, რომელიც გაცემულია ან აღიარებულია ამ წესის მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) საწაფზე საფრენოსნო მომზადება ან MCC სწავლება, თუ ის ფლობს განსახორციელებელი საფრენოსნო მომზადების შესაბამისი ინსტრუქტორის ოსტატობას/სერტიფიკატს, რომელიც გაცემულია ან აღიარებულია ამ წესის მოთხოვნების შესაბამისად;

გ) უნარების შემოწმება (Skill Test), საკვალიფიკაციო შემოწმება (Prof.check) ან კომპეტენციის შეფასება (Assessment of competence) და შესაბამისი მომზადება, თუ ფლობს:

გ.ა) განსახორციელებელი შემოწმების/შეფასებისათვის საჭირო სათანადო გამომცდელის ოსტატობას/სერტიფიკატს რომელიც გაცემულია ან აღიარებულია ამ წესის მოთხოვნების შესაბამისად;

გ.ბ) სულ მცირე იმავე მოწმობის, ოსტატობის ან სერტიფიკატის თანაბარ უფლებამოსილებას, რომლის შემოწმება ან შეფასება უნდა განახორციელოს;

გ.გ) საჰაერო ხომალდის მეთაურის მოქმედ ოსტატობას იმ შემთხვევაში, თუ უნარების შემოწმება, ოსტატობის შემოწმება ან კომპეტენციის შეფასება ხორციელდება საჰაერო ხომალდზე.

2. საფრენოსნო ეკიპაჟის წევრების **ინსტრუქტორის და გამომცდელის უფლებამოსილება** მოიცავს შემდეგ ოსტატობებს:

ა) საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორის ოსტატობა (მოწმობაში აღინიშნება **„FI”** - Flight Instructor) – რომლის მფლობელს უფლება აქვს მოწმობით მინიჭებული მოქმედი ოსტატობის ფარგლებში განახორციელოს:

ა.ა) სხ-ის შესაბამის სახეობაზე მოყვარული პილოტის მოწმობის, თავისუფალი აეროსტატის პილოტის მოწმობის, პლანერის პილოტის მოწმობის მოპოვებისათვის საჭირო პირველადი საფრენოსნო მომზადება ან გაგრძელებისათვის საჭირო საფრენოსნო მომზადება;

ა.ბ) ერთპილოტიანი სხ-ის კლასის/ტიპის ოსტატობის მოპოვების/გაგრძელებისათვის საჭირო თეორიული/საფრენოსნო მომზადება, გარდა ერთპილოტიანი მაღალეფექტური მახასიათებლების მქონე კომპლექსური თვითმფრინავებისა. აგრეთვე, განახორციელოს თავისუფალ აეროსტატზე გადასწავლება და მომზადება პლანერზე კვალიფიკაციის აღდგენის მიზნით;

ა.გ) ერთპილოტიანი თვითმფრინავის კლასის/ტიპის ოსტატობის მოპოვების/ გაგრძელებისათვის საჭირო თეორიული/საფრენოსნო მომზადება მრავალპილოტიანი ექსპლუატაციის პირობებში, თუ იგი აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ მოთხოვნათაგან ერთ-ერთს:

ა.გ.ა) ფლობს ან ფლობდა TRI ინსტრუქტორის ოსტატობას მრავალპილოტიან თვითმფრინავებზე; ან

ა.გ.ბ) ნაფრენი აქვს სულ მცირე 500 საათი პილოტის რანგში მრავალპილოტიანი ექსპლუატაციის პირობებში თვითმფრინავზე და გავლილი აქვს მრავალწევრიანი ეკიპაჟის ურთიერთქმედების ინსტრუქტორის სასწავლო კურსი.

ა.დ) სხ-ის შესაბამის სახეობაზე კომერციული პილოტის მოწმობის (CPL) მოპოვების/გაგრძელებისათვის საჭირო პირველადი საფრენოსნო მომზადება, იმ შემთხვევაში, თუ მას გააჩნია 200 საათი ინსტრუქტორის რანგში ფრენის გამოცდილება ამავე სახეობის სხ-ზე;

ა.ე) ღამით ფრენის უფლების მოპოვების/გაგრძელებისათვის საჭირო მომზადება, იმ პირობით თუ იგი:

ა.ე.ა) აკმაყოფილებს შესაბამისი სახეობის სხ-ზე ღამის ფრენების უფლებამოსილების მიღებისათვის ამ წესების მე-18 მუხლის 1 პუნქტის ,,გ.ბ.ე" ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნებს;

ა.ე.ბ) აკმაყოფილებს ამ წესების მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნებს;

ა.ე.გ) შესაბამის ინსტრუქტორთან გამოავლინა ღამის ფრენისათვის წვრთნის შესაძლებლობები და უნარები შესაბამის სხ-ის სახეობაზე;

ა.ე.დ) წარმატებით აქვს გავლილი სააგენტოს მიერ უფლებამოსილ საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორის გამომცდელთან (FIE) კომპეტენციის შეფასება მე-6 პუნქტის თანახმად, შესაბამის სხ-ის სახეობაზე.

ა.ვ) სფწ ოსტატობის მოპოვების/გაგრძელებისათვის საჭირო საფრენოსნო მომზადება, შესაბამის სხ-ის სახეობაზე, იმ პირობით თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა.ვ.ა) სფწ ნაფრენი აქვს სულ მცირე 200 საათი, საიდანაც 50 საათი შესაძლებელია ჩაითვალოს სრულპილოტაჟიან საწაფზე (FFS), საფრენოსნო საწვრთნელ მოწყობილობაზე (FTD 2/3) ან ფრენისა და სანავიგაციო პროცედურების დანადგარზე (FNPT) ნაფრენი საათები;

ა.ვ.ბ) წარმატებით გაიარა IRI ინსტრუქტორის სასწავლო კურსი და ჩაბარებული აქვს IRI - ინსტრუქტორის ოსტატობის შესაბამისი კომპეტენციის შეფასება IRI სერტიფიკატის მისაღებად;

ა.ვ.გ) მრავალძრავიანი თვითმფრინავების შემთხვევაში აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-3 პუნქტის ბ.ა) და ბ.ბ) ქვეპუნქტების მოთხოვნებს და წარმატებით გაიარა კომპეტენციის შეფასება ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ხოლო მრავალძრავიანი შვეულმფრენების შემთხვევაში აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-3 პუნქტის გ.ბ.გ.ბ) ქვეპუნქტის და მე-5 პუქტის ბ.გ) მოთხოვნებს და წარმატებით აქვს გავლილი კომპეტენციის შეფასება მე-6 პუნქტის შესაბამისად.

ა.ზ) ერთპილოტიანი მრავალძრავიანი სხ-ის კლასის/ტიპის ოსტატობის მოპოვების/გაგრძელებისათვის საჭირო თეორიული/საფრენოსნო მომზადება, იმ პირობით, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა.ზ.ა) თვითმფრინავების შემთხვევაში - ამ მუხლის მე-3 პუნქტის ბ.ა) და ბ.ბ) ქვეპუნქტების, აგრეთვე, ამ მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს;

ა.ზ.ბ) შვეულმფრენების შემთხვევაში - ამ მუხლის მე-5 პუნქტის ბ.გ) ქვეპუნქტის და ამ მუხლის მე-3 პუნქტის გ.ბ.გ.ბ) ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნებს;

ა.თ) FI, IRI და CRI ოსტატობის მოპოვების/გაგრძელებისათვის საჭირო საფრენოსნო მომზადება, შესაბამის სხ-ის სახეობაზე, იმ პირობით თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა.თ.ა) ინსტრუქტორის რანგში ნაფრენი აქვს 500 საათი შესაბამის სხ-ის სახეობაზე;

ა.თ.ბ) წარმატებით აქვს გავლილი სააგენტოს მიერ უფლებამოსილ საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორის გამომცდელთან (FIE) კომპეტენციის შეფასება ამ მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შესაბამის სხ-ის სახეობაზე, შესაბამისი სერტიფიკატის გაცემისათვის საჭირო საინტრუქტორო უნარებისა და ცოდნის (შესაძლებლობების) დემონსტრირების მიზნით;

ბ) სხ-ის კლასის ინსტრუქტორის ოსტატობა (მოწმობაში აღინიშნება - **„CRI"** – Class Rating Instructor) - რომლის მფლობელს უფლება აქვს მოწმობით მინიჭებული მოქმედი უფლებამოსილებ(ებ)ის ფარგლებში განახორციელოს ერთპილოტიანი თვითმფრინავის კლასის/ტიპის ოსტატობის მოპოვების/გაგრძელებისათვის თეორიული/საფრენოსნო მომზადება ერთპილოტიანი ექსპლუატაციის პირობებში, გარდა ერთპილოტიანი მაღალეფექტური მახასიათებლების მქონე კომპლექსური თვითმფრინავებისა;

ბ.ა) კლასის ინსტრუქტორის ოსტატობა შემოიფარგლება თვითმფრინავის იმ კლასით/ტიპით, რომელზეც მან გაიარა კომპეტენციის შეფასება ამ მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების თანახმად. კლასის ინსტრუქტორის უფლებამოსილება გავრცელდება სხვა კლასებზე/ტიპებზე თუ CRI-ს 12 თვიანი პერიოდის განმავლობაში აქვს:

ბ.ა.ა) შესაბამისი კლასის ან ტიპის თვითმფრინავზე მეთაურის რანგში ნაფრენი 15 საათი;

ბ.ა.ბ) ჩატარებული ერთი საწვრთნელი ფრენა მარჯვენა სავარძლიდან, ამ კლასზე ან ტიპზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე CRI ან FI-ის ზედამხედველობის ქვეშ, რომელიც მის შეფასებას მოახდენს პილოტის მეორე სავარძლიდან.

ბ.ბ) სხ-ს კლასის ინსტრუქტორს უფლება აქვს მოამზადოს ერთპილოტიანი თვითმფრინავების კლასის და ტიპის ოსტატობებისთვის მრავალპილოტიანი ექსპლუატაციის პირობებში, გარდა მაღალი საექსპლუატაციო მახასიათებლების მქონე ერთპილოტიანი კომპლექსური თვითმფრინავებისა, იმ პირობით, რომ კლასის ოსტატობის ინსტრუქტორი აკმაყოფილებს რომელიმე ამ ქვეპუნქტის მოთხოვნას:

ბ.ბ.ა) იგი ფლობს ან ფლობდა მრავალპილოტიანი თვითმფრინავების ტიპის ინსტრუქტორის ოსტატობას (TRI);

ბ.ბ.ბ)მრავალპილოტიანი ექსპლუატაციის პირობებში თვითმფრინავებზე ნაფრენი აქვს, სულ მცირე, 500 საათი და გავლილი აქვს სასწავლო კურსი ამ მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ'' ქვეპუნქტის შესაბამისად;

ბ.გ) ერთპილოტიანი მრავალძრავიანი თვითმფრინავის (MEP) კლასის ინსტრუქტორის ოსტატობის მაძიებელი, რომელიც ფლობს ერთძრავიანი თვითმფრინავის (SEP) კლასის ინსტრუქტორის ოსტატობას, უნდა აკმაყოფილებდეს ამ მუხლის მე-3 პუნქტის ბ.ბ.ბ) ქვეპუნქტით დადგენილ წინაპირობებს, აგრეთვე ამავე პუნქტის ბ.ა.გ.ა) და მე-6 პუნქტის მოთხოვნებს.

გ) სხ-ის ტიპის ინსტრუქტორის ოსტატობა (მოწმობაში აღინიშნება - **„TRI"** – Type Rating Instructor) - რომლის მფლობელს უფლება აქვს მოწმობით მინიჭებული მოქმედი უფლებამოსილების ფარგლებში განახორციელოს:

გ.ა) სფწ ფრენის ოსტატობის გაგრძელებისათვის საჭირო საფრენოსნო მომზადება;

გ.ბ) სხ-ის ტიპის ინსტრუქტორის (TRI) და საწაფის ინსტრუქტორის (SFI) უფლებამოსილების მოპოვებისათვის საჭირო საფრენოსნო მომზადება, იმ პირობით თუ მას გააჩნია:

გ.ბ.ა) სხ-ის ტიპის ინსტრუქტორის ან საწაფის ინსტრუქტორის რანგში საფრენოსნო გამოცდილება სულ მცირე 50 საათი, მათ შორის სხ-ზე.

გ.ბ.ბ) ამ მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ.ა.გ" ქვეპუნქტის შესაბამისი სასწავლო კურსის განხორციელების გამოცდილება, რაც წერილობით დასტურდება სდ-ს მიერ;

გ.გ) მრავალპილოტიანი თვითმფრინავის ტიპის ოსტატობის მოპოვებისა და გაგრძელებისთვის საჭირო საფრენოსნო მომზადება;

გ.დ) მრავალპილოტიანი შემადგენლობით საფრენად, ერთპილოტიანი მაღალეფექტური კომპლექსური თვითმფრინავის ტიპის ოსტატობის მოპოვებისა და გაგრძელებისათვის საჭირო საფრენოსნო მომზადება;

გ.ე) მრავალპილოტიანი ეკიპაჟის ურთიერთქმედების სწავლება, შესაბამისი მოქმედი ოსტატობის ფარგლებში;

გ.ვ) ვერტმფრენის ტიპის ოსტატობის მოპოვებისა და გაგრძელებისთვის საჭირო საფრენოსნო მომზადება;

გ.ზ) მრავალძრავიანი ვერტმფრენის სფწ ოსტატობის მოპოვებისთვის საჭირო საფრენოსნო მომზადება იმ პილოტებისათვის, რომლებსაც გააჩნიათ ერთძრავიანი ვერტმფრენის სფწ ოსტატობა;

გ.თ) ვსხ ოსტატობის მოპოვებისა და გაგრძელებისთვის საჭირო საფრენოსნო მომზადება;

დ) სფწ ინსტრუქტორის ოსტატობა (მოწმობაში აღინიშნება - **„IRI"** –Instrument Rating Instructor) - რომლის მფლობელს უფლება აქვს მოწმობით მინიჭებული მოქმედი უფლებამოსილების ფარგლებში განახორციელოს სფწ ფრენის ოსტატობის მოპოვების/გაგრძელებისათვის საჭირო საფრენოსნო მომზადება შესაბამისი სახეობის სხ-ზე;

ე) საწაფის ინსტრუქტორის ოსტატობა (**"SFI" –** Synthetic Flight Instructor) - რომლის მფლობელს უფლება აქვს შესაბამისი სახეობის სხ-ისთვის განახორციელოს:

ე.ა) საფრენოსნო მომზადება საწაფზე:

ე.ა.ა) **სფწ** ოსტატობის გაგრძელებისათვის, იმ პირობით, რომ იგი ფლობს ან ფლობდა შესაბამის სხ-ის სახეობაზე სფწ ოსტატობას;

ე.ა.ბ) **სფწ** ოსტატობის მოპოვებისათვის, იმ პირობით, რომ იგი ფლობს ან ფლობდა სფწ ოსტატობას შესაბამის სხ-ის სახეობაზე და გავლილი აქვს სფწ ოსტატობის ინსტრუქტორის (IRI) კურსი;

ე.ბ) ერთპილოტიანი თვითმფრინავის საწაფის ინსტრუქტორის შემთხვევაში (SFI–SPA) - საფრენოსნო მომზადება საწაფზე ერთპილოტიანი მაღალეფექტური მახასიათებლების მქონე კომპლექსური თვითმფრინავის ტიპის ოსტატობის მოპოვების/გაგრძელებისათვის დამატებით,:

ე.ბ.ა) ერთპილოტიანი ექსპლუატაციის პირობებში შეზღუდვის გარეშე;

ე.ბ.ბ) მრავალპილოტიანი ექსპლუატაციის პირობებში, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგი მოთხოვნებიდან ერთ-ერთს:

ე.ბ.ბ.ა) ფლობს ან ფლობდა სხ-ის ტიპის ინსტრუქტორის (TRI) ოსტატობას მრავალპილოტიან სხ-ზე; ან

ე.ბ.ბ.ბ) მრავალპილოტიან თვითმფრინავზე ნაფრენი აქვს სულ მცირე 500 საათი და გავლილი აქვს MCCI სასწავლო კურსი ამ მუხლის მე-3 პუნქტის ვ.ა) ქვეპუნქტის შესაბამისად;

ე.გ) მრავალპილოტიანი თვითმფრინავის საწაფის ინსტრუქტორის შემთხვევაში (SFI – MPA) - საფრენოსნო მომზადება საწაფზე:

ე.გ.ა) მრავალპილოტიან თვითმფრინავზე ტიპის ოსტატობის მოპოვების/ გაგრძელებისათვის;

ე.გ.ბ) ერთპილოტიანი მაღალეფექტური მახასიათებლების მქონე კომპლექსურ თვითმფრინავზე მრავალპილოტიანი ექსპლუატაციის ოსტატობის მოპოვების/გაგრძელებისათვის;

ე.გ.გ) MCC სასწავლო კურსისთვის;

ე.დ) ვერტმფრენისს საწაფის ინსტრუქტორის შემთხვევაში - საფრენოსნო მომზადება საწაფზე:

ე.დ.ა) შვეულმფრენზე ტიპის ოსტატობის მოპოვების/ გაგრძელებისათვის;

ე.დ.ბ) შვეულმფრენებისათვის MCC სასწავლო კურსზე, იმ პირობით, თუ იგი ფლობს მრავალპილოტიან შვეულმფრენზე მომზადების უფლებას.

ვ) მრავალწევრიანი ეკიპაჟის ურთიერთქმედების ინსტრუქტორის ოსტატობა („MCCI") რომლის მფლობელს უფლება აქვს განახორციელოს მრავალწევრიანი ეკიპაჟის ურთიერთქმედების სასწავლო კურსის საფრენოსნო მომზადების პრაქტიკული ნაწილი, თუ სწავლება არ არის ინტეგრირებული სხ-ის ტიპზე მომზადების სასწავლო კურსთან;

ზ) საფრენოსნო გამომცდელის ოსტატობა (მოწმობაში აღინიშნება **„FE"** - Flight Examiner) – რომლის მფლობელს უფლება აქვს მოწმობით მინიჭებული მოქმედი უფლებამოსილებ(ებ)ის ფარგლებში ჩაატაროს:

ზ.ა) თვითმფრინავის (FE(A)) შემთხვევაში:

ზ.ა.ა) თვითმფრინავის მოყვარული პილოტის მოწმობის (PPL(A)) გაცემის მიზნით უნარების შემოწმება, აგრეთვე, ამ მოწმობის მფლობელთა უნარების შემოწმება და საკვალიფიკაციო შემოწმება ერთპილოტიან ერთძრავიან თვითმფრინავის კლასის/ტიპის ოსტატობის მოპოვება/გაგრძელებისათვის, გარდა მაღლეფექტური კომპლექსური თვითმფრინავებისა, იმ პირობით, რომ გამომცდელის საერთო ნაფრენი თვითმფრინავ(ებ)ზე, პილოტის რანგში შეადგენს 1000 საათს, საიდანაც სულ მცირე 250 საათი ნაფრენი ექნება ინსტრუქტორის რანგში;

ზ.ა.ბ) კომერციული პილოტის მოწმობის (CPL(A)) გაცემის მიზნით, უნარების შემოწმება, აგრეთვე, ამ მოწმობის მფლობელთა უნარების შემოწმება და საკვალიფიკაციო შემოწმება ერთპილოტიანი ერთძავიანი თვითმფრინავის კლასის/ტიპის ოსტატობის მოპოვება/გაგრძელებისათვის, გარდა მაღლეფექტური კომპლექსური თვითმფრინავებისა, იმ პირობით, რომ გამომცდელის საერთო ნაფრენი თვითმფრინავ(ებ)ზე პილოტის რანგში შეადგენს 2000 საათს, საიდანაც სულ მცირე 250 საათი ნაფრენი ექნება ინსტრუქტორის რანგში;

ზ.ბ) ვერტმფრენის**ვერტმფრენს (FE (H)) შემთხვევაში:**

ზ.ბ.ა) ვერტმფრენისვერტმფრენის მოყვარული პილოტის მოწმობის (PPL(H)) გაცემის მიზნით, უნარების შემოწმება, აგრეთვე, უნარების შემოწმება და მოწმობით მინიჭებული ოსტატობის საკვალიფიკაციო შემოწმება ამ მოწმობის ფარგლებში, ერთპილოტიან ერთძავიან ვერტმფრენზე ტიპის ოსტატობის მოპოვება/გაგრძელებისათვის, იმ პირობით, რომ გამომცდელის საერთო ნაფრენი ვერტმფრენ(ებ)ზე, პილოტის რანგში, შეადგენს 1000 საათს, საიდანაც სულ მცირე 250 საათი ნაფრენი ექნება ინსტრუქტორის რანგში;

ზ.ბ.ბ) ვერტმფრენის კომერციული პილოტის მოწმობის (CPL(H)) გაცემის მიზნით უნარების შემოწმება, აგრეთვე, უნარების შემოწმება და მოწმობით მინიჭებული ოსტატობის საკვალიფიკაციო შემოწმება, ერთპილოტიან ერთძავიან ვერტმფრენზე ტიპის ოსტატობის მოპოვება/გაგრძელებისათვის ამ მოწმობის ფარგლებში, იმ პირობით, რომ გამომცდელის საერთო ნაფრენი ვერტმფრენ(ებ)ზე პილოტის რანგში შეადგენს 2000 საათს, საიდანაც სულ მცირე 250 საათი ნაფრენი ექნება ინსტრუქტორის რანგში;

ზ.ბ.გ) ვერტმფრენის მოყვარული პილოტის (PPL(H)) და კომერციული პილოტის მოწმობის (CPL(H)) მფლობელთა უნარების შემოწმება და საკვალიფიკაციო შემოწმება ერთპილოტიან მრავალძრავიან ვერტმფრენზე ტიპის ოსტატობის მოპოვება/გაგრძელებისათვის, იმ პირობით, რომ გამომცდელი აკმაყოფილებს ამ პუნქტის ზ.ბ.ა) და ზ.ბ.ბ) ქვეპუნქტების მოთხოვნებს შესაბამისად და ფლობს ვერტმფრენზე კომერციული პილოტის (CPL(H)) ან ავიაკომპანიის სატრანსპორტო პილოტის (ATPL(H)) მოწმობებს და, საჭიროების შემთხვევაში, სფწ ოსტატობას ვერტმფრენზე (IR(H));

ზ.გ) პლანერის (FE(S)) შემთხვევაში:

ზ.გ.ა) უნარების შემოწმება და საკვალიფიკაციო შემოწმება პლანერის პილოტის მოწმობის (SPL) გაცემისათვის, იმ პირობით, რომ გამომცდელს პლანერებზე ან ძრავიან პლანერებზე პილოტის რანგში ნაფრენი აქვს 300 საათი, საიდანაც 150 საათი ან 300 გაშვება შესრულებული აქვს ინსტრუქტორის რანგში;

ზ.გ.ბ) საკვალიფიკაციო შემოწმება პლანერის პილოტის მოწმობით (SPL) მინიჭებული უფლებამოსილების კომერციულ ექსპლუატაციაზე გავრცელებისთვის, იმ პირობით, რომ გამომცდელს ნაფრენი აქვს პლანერებზე ან ძრავიან პლანერებზე პილოტის რანგში ნაფრენი აქვს 300 საათი, საიდანაც 90 საათი - შესრულებული აქვს ინსტრუქტორის რანგში;

ზ.გ.გ) უნარების შემოწმება და საკვალიფიკაციო შემოწმება ღრუბელში ფრენის ოსტატობის გაცემისათვის, იმ პირობით, რომ გამომცდელს პლანერებზე ან ძრავიან პლანერებზე პილოტის რანგში ნაფრენი აქვს 200 საათი, საიდანაც, სულ მცირე, 5 საათი ან 25 ფრენა შესრულებული აქვს ღრუბელში ფრენის ოსტატობის ინსტრუქტორის რანგში ან, სულ მცირე, 10 საათი - IR(A)-სთავის ინსტრუქტორის რანგში.

ზ.დ) თავისუფალი აეროსტატის (FE(B)) შემთხვევაში:

ზ.დ.ა) თავისუფალი აეროსტატის პილოტის მოწმობის (BPL) გაცემის მიზნით უნარების შემოწმება, აგრეთვე, ამ მოწმობის მფლობელთა საკვალიფიკაციო შემოწმება და უნარების შემოწმება სხვა კლასის თავისუფალ აეროსტატზე ოსტატობის მოპოვება/გაგრძელებისათვის, იმ პირობით, რომ გამომცდელის საერთო ნაფრენი თავისუფალ აეროსტატ(ებ)ზე შეადგენს 250 საათს, საიდანაც 50 საათი ნაფრენი ექნება ინსტრუქტორის რანგში;

ზ.დ.ბ) თავისუფალი აეროსტატის მოწმობის მფლობელთა საკვალიფიკაციო შემოწმება თავისუფალ აეროსტატზე კომერციული ექსპლუატაციის უფლებამოსილების მოპოვების/ გაგრძელებისათვის, იმ პირობით, რომ გამომცდელის საერთო ნაფრენი თავისუფალ აეროსტატ(ებ)ზე პილოტის რანგში შეადგენს 300 საათს, საიდანაც 50 საათი ნაფრენი ექნება ინსტრუქტორის რანგში;

თ) სხ-ის კლასზე გამომცდელის ოსტატობა (მოწმობაში აღინიშნება - **„CRE"** – Class Rating Examiner) - რომლის მფლობელს უფლება აქვს მოწმობით მინიჭებული მოქმედი უფლებამოსილებ(ებ)ის ფარგლებში, ერთპილოტიანი თვითმფრინავის კლასზე, გარდა მაღლეფექტური კომპლექსური თვითმფრინავებისა, განახორციელოს:

თ.ა) უნარების შემოწმება კლასის ოსტატობის მოპოვებისათვის;

თ.ბ) საკვალიფიკაციო შემოწმება:

თ.ბ.ა) კლასის ოსტატობის გაგრძელების/განახლებისთვის;

თ.ბ.ბ) სფწ ოსტატობის ვადის გაგრძელებისთვის, იმ პირობით, რომ გამომცდელის საერთო ნაფრენი თვითმფრინავზე პილოტის რანგში შეადგენს სულ მცირე 1500 საათს, საიდანაც 450 საათი ნაფრენი ექნება სფწ პირობებში;

თ.ბ.გ) სფწ ოსტატობის განახლებისთვის, იმ პირობით, რომ გამომცდელი აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-4 პუნქტის დ.ა) ქვეპუნქტის მოთხოვნებს (FCL.1010.IRE(a))

ი) სხ-ის ტიპზე გამომცდელის ოსტატობა (მოწმობაში აღინიშნება - **„TRE"** – Type Rating Examiner) - რომლის მფლობელს უფლება აქვს მოწმობით მინიჭებული მოქმედი უფლებამოსილების ფარგლებში განახორციელოს:

ი.ა) თვითმფრინავის (TRE(A)) და ვსხ-ს (TRE(PL)) შემთხვევაში:

ი.ა.ა) უნარების შემოწმება თვითმფრინავის ან ვსხ-ს ტიპის ოსტატობის პირველად მოპოვებისათვის;

ი.ა.ბ) საკვალიფიკაციო შემოწმება თვითმფრინავის ან ვსხ-ს ტიპის ოსტატობის, აგრეთვე სფწ ოსტატობის ვადის გაგრძელებისათვის;

ი.ა.გ) უნარების შემოწმება ავიაკომპანიის სატრანსპორტო პილოტის მოწმობის მოპოვების მიზნით;

ი.ა.დ) კომპეტენციის შეფასება შესაბამისი სახეობის სხ-ის ტიპის ინსტრუქტორის (TRI) ან საწაფის ინსტრუქტორის (SFI) ოსტატობის/ სერტიფიკატის მოპოვების/გაგრძელებისათვის, იმ პირობით, რომ მას გააჩნია გამომცდელად (TRE) მუშაობის 3 წლიანი სტაჟი და გავლილი აქვს ამ მუხლის მე-6 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული, კომპეტენციის შეფასების სპეციალური სწავლება;

ი.ბ) ვერტმფრენის (TRE(H)) შემთხვევაში:

ი.ბ.ა) უნარების შემოწმება და საკვალიფიკაციო შემოწმება ვერტმფრენის ტიპის ოსტატობის მოპოვების/გაგრძელებისთვის;

ი.ბ.ბ) საკვალიფიკაციო შემოწმება სფწ ოსტატობის ვადის გაგრძელებისათვის, ან ერთძრავიან ვერტმფრენზე სფწ ოსტატობის მქონე პილოტებისათვის - მრავალძრავიან ვერტმფრენზე სფწ ოსტატობის მოპოვებისათვის, იმ პირობით, რომ გამომცდელს (TRE(H)) აქვს მოქმედი სფწ ოსტატობა ვერტმფრენზე;

ი.ბ.გ) უნარების შემოწმება ვერტმფრენის ავიაკომპანიის სატრანსპორტო პილოტის მოწმობის გაცემის მიზნით;

ი.ბ.დ) კომპეტენციის შეფასება ვერტმფრენის ტიპის ინსტრუქტორის (TRI(H)) ან საწაფის ინსტრუქტორის (SFI(H)) ოსტატობის/სერტიფიკატის მოპოვების/გაგრძელებისათვის, იმ პირობით, რომ მას გააჩნია გამომცდელად (TRE) მუშაობის 3 წლიანი სტაჟი და გავლილი აქვს ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული სტანდარტიზაციის კურსი.

კ) სფწ გამომცდელის ოსტატობა/ სერტიფიკატი (მოწმობაში აღინიშნება - **„IRE"** –Instrument Rating Examiner) - რომლის მფლობელს უფლება აქვს მოწმობით მინიჭებული მოქმედი უფლებამოსილების ფარგლებში განახორციელოს უნარების შემოწმება სფწ ოსტატობის მოპოვების მიზნით და საკვალიფიკაციო შემოწმება სფწ ოსტატობის ვადის გაგრძელებისათვის;

ლ) საწაფზე გამომცდელის სერტიფიკატი (**„SFE"** –Synthetic Flight Examiner) - რომლის მფლობელს უფლება აქვს სერტიფიკატით მინიჭებული მოქმედი უფლებამოსილების ფარგლებში განახორციელოს:

ლ.ა) თვითმფრინავების (SFE(A)) და ვსხ-ს (SFE(PL)) შემთხვევაში - სრულპილოტაჟიან საწაფზე (FFS), ან ამ პუნქტის ლ.ა.დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული შეფასებისათვის - შესაბამის საწაფზე (FSTD):

ლ.ა.ა) უნარების შემოწმება და საკვალიფიკაციო შემოწმება, თვითმფრინავის ან ვსხ-ს ტიპზე ოსტატობის მოპოვების/ გაგრძელებისთვის, სხ-ის სახეობის შესაბამისად;

ლ.ა.ბ) საკვალიფიკაციო შემოწმება, სფწ ოსტატობის ვადის გაგრძელებისათვის, თუ ეს შემოწმება კომბინირებულია სხ-ის ტიპზე ოსტატობის გაგრძელებისათვის ჩატარებულ საკვალიფიკაციო შემოწმებასთან, იმ პირობით, რომ მას უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში გავლილი აქვს სხ-ის ტიპზე ოსტატობისა და სფწ ოსტატობის საკვალიფიკაციო შემოწმება;

ლ.ა.გ) უნარების შემოწმება, თვითმფრინავის ავიაკომპანიის სატრანსპორტო პილოტის მოწმობის (ATPL(A)) მოპოვების მიზნით;

ლ.ა.დ) კომპეტენციის შეფასება, სხ-ის შესაბამის სახეობაზე საწაფის ინსტრუქტორის (SFI) სერტიფიკატის მოპოვების/ გაგრძელებისათვის, იმ პირობით, რომ მას გააჩნია საწაფზე

გამომცდელად (SFE) მუშაობის 3 წლიანი სტაჟი და გავლილი აქვს ამ მუხლის მე-8 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული, კომპეტენციის შეფასების სპეციალური სწავლება;

ლ.ბ) ვერტმფრენების (SFE(H)) შემთხვევაში - სრულპილოტაჟიან საწაფზე (FFS), ან ამ პუნქტის ლ.ბ.დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული შეფასებისათვის - შესაბამის საწაფზე (FSTD):

ლ.ბ.ა) უნარების შემოწმება და საკვალიფიკაციო შემოწმება, ვერტმფრენის ტიპზე ოსტატობის მოპოვების/ გაგრძელებისათვის;

ლ.ბ.ბ) საკვალიფიკაციო შემოწმება, სფწ ოსტატობის ვადის გაგრძელებისათვის, თუ ეს შემოწმება კომბინირებულია სხ-ის ტიპზე ოსტატობის გაგრძელებისათვის ჩატარებულ საკვალიფიკაციო შემოწმებასთან, იმ პირობით, თუ გამომცდელს უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში გავლილი აქვს სხ-ის ტიპზე ოსტატობისა და სფწ ოსტატობის საკვალიფიკაციო შემოწმება;

ლ.ბ.გ) უნარების შემოწმება, ვერტმფრენის ავიაკომპანიის სატრანსპორტო პილოტის მოწმობის (ATPL(A)) მოპოვების მიზნით;

ლ.ბ.დ) კომპეტენციის შეფასება, ვერტმფრენის საწაფის ინსტრუქტორის (SFI(H)) სერტიფიკატის მოპოვების/გაგრძელებისათვის, იმ პირობით, რომ მას გააჩნია საწაფზე გამომცდელად (SFE) მუშაობის 3 წლიანი სტაჟი და გავლილი აქვს ამ მუხლის მე-8 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული, კომპეტენციის შეფასების სპეციალური სწავლება;

მ) საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორის გამომცდელის ოსტატობა („FIE" – Flight Instructor Examiner) - რომლის მფლობელს უფლება აქვს ოსტატობით მინიჭებული მოქმედი უფლებამოსილების ფარგლებში განახორციელოს:

მ.ა) თვითმფრინავების (FIE(A)) შემთხვევაში - კომპეტენციის შეფასება ერთპილოტიან თვითმფრინავზე საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორის (FI(A)), სხ-ის კლასის ინსტრუქტორის (CRI(A)), სფწ ოსტატობის ინსტრუქტორის (IRI(A)) და სხ-ის ტიპის ინსტრუქტორის (TRI(A)) ოსტატობის/ სერტიფიკატის მოპოვების/ გაგრძელების მიზნით, იმ პირობით, რომ მას გააჩნია შესაბამისი ინსტრუქტორის ოსტატობა;

მ.ბ) შვეულმფრების (FIE(H)) შემთხვევაში - კომპეტენციის შეფასება ერთპილოტიან ვერტმფრენზე საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორის (FI(H)), სფწ ოსტატობის ინსტრუქტორის (IRI(H)) და სხ-ის ტიპის ინსტრუქტორის (TRI(H)) ოსტატობის/სერტიფიკატის მოპოვების/გაგრძელების მიზნით, იმ პირობით, რომ მას გააჩნია შესაბამისი ინსტრუქტორის ოსტატობა/ სერტიფიკატი;

მ.გ) თავისუფალი აეროსტატის (FIE(B)) და პლანერის (FIE(S)) შემთხვევაში - კომპეტენციის შეფასება თავისუფალი აეროსტატის და პლანერის ინსტრუქტორის ოსტატობის/ სერტიფიკატი მოპოვების/გაგრძელების მიზნით, იმ პირობით, რომ მას გააჩნია შესაბამის სხ-ის სახეობაზე ინსტრუქტორის ოსტატობა/ სერტიფიკატი;

3. საფრენოსნო ეკიპაჟის წევრის **ინსტრუქტორის ოსტატობის / სერტიფიკატის** პირველად მიღებისათვის ინსტრუქტორობის კანდიდატმა უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები:

ა) საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორის (FI) ოსტატობის მოსაპოვებლად:

ა.ა) სდ-ში გავლილი უნდა ჰქონდეს საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორის მომზადების კურსი, რომელიც უნდა მოიცავდეს:

ა.ა.ა) სწავლებისა და სწავლის მეთოდების 25 საათს; რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ამ პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ ელემენტებს;

ა.ა.ბ) თვითმფრინავისა და ვერტმფრენისათვის:

ა.ა.ბ.ა) თეორიულ კურსს სულ მცირე 100 საათის ოდენობით, შუალედური ტესტის ჩათვლით;

ა.ა.ბ.ბ) საფრენოსნო მომზადებას სულ მცირე 30 საათის ოდენობით, საიდანაც 25 საათი უნდა იყოს ინსტრუქტორთან ერთად საფრენოსნო მომზადების დრო, მათ შორის 5 საათი შესაძლებელია შესრულდეს FFS, FNPT I / II ან FTD 2 / 3 კვალიფიკაციის საწაფებზე;

ა.ა.გ) თავისუფალი აეროსტატისათვის:

ა.ა.გ.ა) თეორიულ კურსს, სულ მცირე 30 საათის ოდენობით, შუალედური ტესტის ჩათვლით;

ა.ა.გ.ბ) საფრენოსნო მომზადებას სულ მცირე 3 საათის ოდენობით, 3 გაშვების (აფრენის) ჩათვლით.

შენიშვნა 1. სხვა სახეობის სხ-ის საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორის ოსტატობის მაძიებელ პილოტს, რომელიც ფლობს ან ფლობდა საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორის ოსტატობას თვითმფრინავზე ან ვერტმფრენზე, ამ პუნქტის ,,ა.ა.ბ.ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული თეორიული კურსის საათებიდან ჩაეთვლება 55 საათი, ხოლო ,,ა.ა.ბ.ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფრენოსნო მომზადების საათებიდან - 18 საათი.

შენიშვნა 2. საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორის ოსტატობის მაძიებელს, რომელიც ფლობს ან ფლობდა ამ წესის შესაბამისად გაცემულ ნებისმიერი ინსტრუქტორის ოსტატობას, დაკმაყოფილებულად ჩაეთვლება ამ პუნქტის ,,ა.ა.ა'' ქვეპუნქტის მოთხოვნა;

ა.ბ) უნდა ფლობდეს კომერციული პილოტის მოწმობას (CPL) ან ავიაკომპანიის სატრანსპორტო პილოტის მოწმობას (ATPL) შესაბამისი სახეობის საჰაერო ხომალდზე და დამატებით:

ა.ბ.ა) თვითმფრინავის საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორის ((FI)(A)) ოსტატობის აღნიშვნისათვის:

ა.ბ.ა.ა) ერთძრავიან დგუშიან თვითმფრინავებზე ნაფრენი უნდა ჰქონდეს სულ მცირე 30 საათი, საიდანაც 5 საათი შესრულებული უნდა ჰქონდეს ამ ქვეპუნქტის ,,ა.ბ.გ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ - საფრენოსნო შეფასებამდე 6 თვის განმავლობაში;

ა.ბ.ა.ბ) შესაბამისი სხ-ის მეთაურის რანგში უნდა ჰქონდეს შესრულებული ვფწ სამარშრუტო ფრენა არანაკლებ 540 კმ-ის დისტანციაზე, რომლის დროსაც უნდა შესრულდეს დაფრენა სრული შეჩერებით 2 სხვადასხვა აეროდრომზე;

ა.ბ.ბ.) ვერტმფრენის საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორის ოსტატობის აღნიშვნისათვის ვერტმფრენზე პილოტის საერთო ნაფრენი უნდა შეადგენდეს სულ მცირე 250 საათს, საიდანაც 100 საათი ნაფრენი უნდა ჰქონდეს მეთაურის რანგში;

ა.ბ.გ) სასწავლო კურსის დაწყებამდე 6 თვის განმავლობაში, ამ მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა.თ'' ქვეპუნქტის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ფრენის ინსტრუქტორთან გავლილი უნდა ჰქონდეს საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორის სასწავლო კურსზე დაშვების წინა საფრენოსნო მომზადების დონის შეფასება კურსის დაძლევის უნარის შესაფასებლად. ეს შეფასება უნდა ეფუძნებოდეს სხ-ის კლასზე ან ტიპზე ოსტატობის საკვალიფიკაციო შემოწმებას.

ა.გ) თავისუფალ აეროსტატზე საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორის (FI)(B) ოსტატობის აღნიშვნისათვის პილოტს აღნიშნული სხ-ის სახეობაზე ნაფრენი უნდა ჰქონდეს 75 საათი მეთაურის რანგში.

ა.დ) გავლილი უნდა ჰქონდეს კომპეტენციის შეფასება ამ მუხლის მე-6 პუქნტის მოთხოვნების თანახმად, შესაბამისი სახეობის სხ-ზე.

ბ) სხ-ის კლასის ინსტრუქტორის (CRI) ოსტატობის მოსაპოვებლად:

ბ.ა) სდ-ში გავლილი უნდა ჰქონდეს სხ-ის კლასის ინსტრუქტორის (CRI) მომზადების კურსი, რომელიც უნდა მოიცავდეს:

ბ.ა.ა) სწავლებისა და სწავლის მეთოდების 25 საათს; რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ამ პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ ელემენტებს;

ბ.ა.ბ) ტექნიკურ მომზადებას სულ მცირე 10 საათის ოდენობით, რომელიც მოიცავს ტექნიკური ცოდნის გამეორებას, გაკვეთილის გეგმის მომზადებას და საკლასო/საწაფზე სწავლების უნარების განვითარებას;

ბ.ა.გ) საფრენოსნო მომზადებას ამ მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა.თ" ქვეპუნქტით განსაზღვრული კვალიფიკაციის მქონე ინსტრუქტორთან:

ბ.ა.გ.ა) მრავალძრავიანი თვითმფრინავისათვის - 5 საათის ოდენობით თვითმფრინავზე, რომლიდან 2 საათი შესაძლებელია ჩატარდეს ამავე კლასის/ტიპის თვითმფრინავის საწაფზე;

ბ.ა.გ.ბ) ერთძრავიანი თვითმფრინავის შემთხვევაში - საფრენოსნო მომზადებას 3 საათის ოდენობით.

ბ.ბ) უნდა ფლობდეს კომერციული პილოტის მოწმობას (CPL) ან ავიაკომპანიის სატრანსპორტო პილოტის მოწმობას (ATPL) შესაბამისი სახეობის საჰაერო ხომალდზე და ჰქონდეს ნაფრენი საათები შემდეგი ოდენობით:

ბ.ბ.ა) ერთპილოტიანი ერთძრავიანი თვითმფრინავისათვის - 300 საათი, საიდანაც 30 საათი შესრულებული უნდა იყოს მეთაურის რანგში მოთხოვნილ სხ-ის კლასზე ;

ბ.ბ.ბ) ერთპილოტიან მრავალძრავიან თვითმფრინავისათვის - 500 საათი, საიდანაც 30 საათი შესრულებული უნდა იყოს მეთაურის რანგში მოთხოვნილ სხ-ის კლასზე.

შენიშვნა: საფრენოსნო ეკიპაჟის წევრის ინსტრუქტორის ოსტატობის მაძიებელს, რომელიც ფლობს ან ფლობდა ამ წესის შესაბამისად გაცემული ნებისმიერი ინსტრუქტორის ოსტატობას დაკმაყოფილებულად ჩაეთვლება ამ პუნქტის ,,ბ.ა.ა" ქვეპუნქტის მოთხოვნა;

ბ.გ) გავლილი უნდა ჰქონდეს კომპეტენციის შეფასება ამ მუხლის მე-6 პუქნტის მოთხოვნების თანახმად, შესაბამისი სახეობის სხ-ზე.

გ) სხ-ის ტიპის ინსტრუქტორის (TRI) ოსტატობის მოსაპოვებლად:

გ.ა) სდ-ში გავლილი უნდა ჰქონდეს სხ-ის ტიპის ინსტრუქტორის (TRI) მომზადების კურსი შესაბამის სხ-ის საწაფზე, ხოლო თუ არ არსებობს/ხელმისაწვდომი არ არის სააგენტოს მიერ სერტიფიცირებული/აღიარებული საწაფი, მაშინ შესაბამის სხ-ზე და უნდა მოიცავდეს:

გ.ა.ა) სწავლებისა და სწავლის მეთოდების 25 საათს, რომელიც უნდა მოიცავდეს ამ პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ელემენტებს;

გ.ა.ბ.) ტექნიკურ მომზადებას სულ მცირე 10 საათის ოდენობით, რომელიც მოიცავს ტექნიკური ცოდნის გამეორებას, გაკვეთილის გეგმის მომზადებას და ინსტრუქტორის საკლასო სწავლების უნარების განვითარებას;

გ.ა.გ) საფრენოსნო მომზადებას:

გ.ა.გ.ა) **ერთპილოტიანი** საჰაერო ხომალდისათვის - 5 საათის ოდენობით შესაბამის სხ-ზე ან საწაფზე;

გ.ა.გ.ბ) **მრავალპილოტიან** სხ-ის შემთხვევაში - 10 საათის ოდენობით შესაბამის სხ-ზე ან საწაფზე;

გ.ა.გ.გ) საჭიროებიდან გამომდინარე უნდა ფარავდეს:

გ.ა.გ.გ.ა) დამატებით სპეციალურ სწავლებას (LIFUS) პილოტის მწყობრში შეყვანის უფლებამოსილების მიღებამდე

გ.ა.გ.გ.ბ) დამატებით სპეციალურ სწავლებას, დაფრენის წვრთნის განხორციელებამდე (Base Training). აღნიშნული სპეციალური სწავლება უნდა ჩატარდეს საწაფზე და უნდა მოიცავდეს სხ-თან დაკავშირებულ ავარიულ პროცედურებს.

შენიშვნა: სხ-ის ტიპის ინსტრუქტორის ოსტატობის მაძიებელს, რომელიც ფლობს ან ფლობდა ამ წესის შესაბამისად გაცემული ნებისმიერი ინსტრუქტორის ოსტატობას/ სერტიფიკატს დაკმაყოფილებულად ჩაეთვლება ამ პუნქტის გ.ა.ა) ქვეპუნქტის მოთხოვნა;

გ.ბ) უნდა ფლობდეს კომერციული პილოტის მოწმობას (CPL) ან ავიაკომპანიის სატრანსპორტო პილოტის მოწმობას (ATPL) შესაბამისი სახეობის საჰაერო ხომალდზე და აკმაყოფილებდეს ნაფრენი საათების მიმართ დადგენილ შემდეგ მოთხოვნებს:

გ.ბ.ა) **მრავალპილოტიან თვითმფრინავზე** სხ-ის ტიპის ინსტრუქტორის (TRI(MPA)) ოსტატობის/სერტიფიკატის მოპოვებისათვის:

გ.ბ.ა.ა) მრავალპილოტიან თვითმფრინავზე მეთაურის რანგში ნაფრენი უნდა ჰქონდეს 1500 საათი; და

გ.ბ.ა.ბ) განაცხადის წარდგენამდე 12 თვის განმავლობაში შესრულებული უნდა ჰქონდეს 30 მარშრუტის სექტორი, აფრენა-დაფრენის ჩათვლით მეთურის რანგში შესაბამისი ტიპის თვითმფრინავზე, საიდანაც 15 სექტორი შესაძლოა შესრულებული იქნას იმავე ტიპის შესაბამის სრულპილოტაჟიან საწაფზე FFS-ზე;

გ.ბ.ბ) ერთპილოტიან თვითმფრინავზე სხ-ის ტიპის ინსტრუქტორის (TRI(SPA)) ოსტატობის/სერტიფიკატის მოპოვებისათვის:

გ.ბ.ბ.ა) განაცხადის წარდგენამდე 12 თვის განმავლობაში შესრულებული უნდა ჰქონდეს 30 მარშრუტის სექტორი, აფრენა-დაფრენის ჩათვლით მეთაურის რანგში შესაბამისი ტიპის თვითმფრინავზე, საიდანაც 15 სექტორი შესაძლოა შესრულებული იქნას იმავე ტიპის შესაბამის საწაფზე (FSTD);

გ.ბ.გ) ვერტმფრენზე სხ-ის ტიპის ინსტრუქტორის (TRI(H)) ოსტატობის/სერტიფიკატის მოპოვებისათვის:

გ.ბ.გ.ა) ერთპილოტიანი ერთძრავიანი ვერტმფრენის შემთხვევაში - ნაფრენი უნდა ჰქონდეს 250 საათი ვერტმფრენის მეთურის რანგში;

გ.ბ.გ.ბ) ერთპილოტიანი მრავალძრავიანი ვერტმფრენის შემთხვევაში - ნაფრენი უნდა ჰქონდეს 500 საათი ვერტმფრენის პილოტის რანგში, საიდანაც 100 საათი შესრულებული უნდა ჰქონდეს მეთაურის რანგში ერთპილოტიან მრავალძრავიან ვერტმფრენებზე;

გ.ბ.გ.გ) მრავალპილოტიანი ვერტმფრენის ინსტრუქტორისათვის - ნაფრენი უნდა ჰქონდეს 1000 საათი ვერტმფრენის პილოტის რანგში, საიდანაც 350 საათი შესრულებული უნდა ჰქონდეს მრავალპილოტიან ვერტმფრენზე პილოტის რანგში ან ერთპილოტიან მრავალძრავიან ვერტმფრენზე ტიპის ინსტრუქტორის ოსტატობის ფლობის შემთხვევაში - 100 საათი შესრულებული უნდა ჰქონდეს პილოტის რანგში ამ ტიპის ვერტმფრენზე მრავალპილოტიანი ექსპლუატაციის პირობებში;

გ.ბ.გ.დ) ვერტმფრენზე საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორის FI(H) უფლებამოსილების მფლობელს სრულად ჩაეთვლება **გ.ბ.გ.ა)** და **გ.ბ.გ.ბ)** ქვეპუნქტების მოთხოვნებში შესაბამისი ტიპის ერთპილოტიან ვერტმფრენზე ნაფრენი დრო;

გ.ბ.დ) ვსხ-ის ტიპის ინსტრუქტორის (TRI(PL)) ოსტატობის/ სერტიფიკატის მოპოვებისათვის:

გ.ბ.დ.ა) ნაფრენი უნდა ჰქონდეს 1500 საათი პილოტის რანგში მრავალპილოტიან თვითმფრინავზე, ამწევი ძალის სამატი სისტემით აღჭურვილ საჰაერო ხომალდზე (ვსხ) ან მრავალპილოტიან ვერტმფრენზე; და

გ.ბ.დ.ბ) განაცხადის წარდგენამდე 12 თვის განმავლობაში შესრულებული უნდა ჰქონდეს 30 მარშრუტის სექტორი, აფრენა-დაფრენის ჩათვლით მეთაურის რანგში შესაბამისი ტიპის ვსხ-ზე, საიდანაც 15 სექტორი შესაძლოა შესრულებული იქნას იმავე ტიპის შესაბამის სრულპილოტაჟიან საწაფზე (FFS).

გ.გ) სათანადო უნარების დემონსტრირების მიზნით, გავლილი უნდა ჰქონდეს სხ-ის შესაბამისი სახეობისთვის კომპეტენციის შეფასებაამ მუხლის მე-6 პუქნტის მოთხოვნების თანახმად.

დ) სფწ ინსტრუქტორის (IRI) ოსტატობის/სერტიფიკატის მოსაპოვებლად:

დ.ა) გავლილი უნდა ჰქონდეს სდ-ში სფწ ინსტრუქტორის (IRI) მომზადების კურსი, რომელიც უნდა მოიცავდეს:

დ.ა.ა) სწავლებისა და სწავლის მეთოდების 25 საათს, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ამ პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ელემენტებს;

დ.ა.ბ) ტექნიკურ მომზადებას სულ მცირე 10 საათის ოდენობით, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს სახელსაწყო ფრენის თეორიული ცოდნის გამეორებას, გაკვეთილის გეგმის მომზადებას და ინსტრუქტორის საკლასო სწავლების უნარების განვითარებას;

დ.ა.გ) საფრენოსნო მომზადებას:

დ.ა.გ.ა) თვითმფრინავისათვის (IRI(A)) - სულ მცირე 10 საათის ოდენობით წვრთნას თვითმფრინავზე ან FFS, FTD 2/3, FNPT II საწაფებზე. ხოლო თუ პილოტი ფლობს თვითმფრინავზე საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორის FI(A) ოსტატობას, აღნიშნული საათების მოთხოვნა მცირდება 5 საათამდე;

დ.ა.გ.ბ) ვერტმფრენისათვის (IRI(H)) - სულ მცირე 10 საათის ოდენობით წვრთნას ვერტმფრენზე ან FFS, FTD 2/3, FNPT II/III საწაფებზე. იმ პილოტებისათვის, რომლებიც ფლობენ ვერტმფრენზე საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორის (FI(H)) ოსტატობას/სერტიფიკატს, აღნიშნული საათების მოთხოვნა მცირდება 5 საათამდე;

შენიშვნა: სფწ ინსტრუქტორის (IRI) ოსტატობის მაძიებელს, რომელიც ფლობს ან ფლობდა ამ წესის შესაბამისად გაცემულ ინსტრუქტორის ოსტატობას/ სერტიფიკატს, დაკმაყოფილებულად ჩაეთვლება ამ პუნქტის ,,დ.ა.ა “ ქვეპუნქტის მოთხოვნა;

დ.ბ) უნდა აკმაყოფილებდეს ნაფრენი საათების მიმართ ამ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნებს:

დ.ბ.ა) თვითმფრინავის სფწ ოსტატობის ინსტრუქტორისათვის (IRI(A)):

დ.ბ.ა.ა) ნაფრენი უნდა ჰქონდეს არანაკლებ 800 საათი სფწ-თი (IFR), საიდანაც სულ მცირე 400 საათი შესრულებული უნდა იყოს თვითმფრინავზე; და

დ.ბ.ა.ბ) მრავალძრავიანი თვითმფრინავის სფწ ინსტრუქტორისათვის (IRI(A), აგრეთვე უნდა აკმაყოფილებდეს ამ პუნქტის ბ.ბ.ბ) და ბ.ა) ქვეპუნქტების მოთხოვნებს და, სათანადო უნარების დემონსტრირების მიზნით, გავლილი უნდა ჰქონდეს სხ-ის შესაბამისი სახეობისთვის კომპეტენციის შეფასება ამ მუხლის მე-6 პუქნტის მოთხოვნების თანახმად.

დ.ბ.ბ) შვეულმფრენის სფწ ოსტატობის ინსტრუქტორისათვის (IRI(H)):

დ.ბ.ბ.ა) ნაფრენი უნდა ჰქონდეს არანაკლებ 500 საათი სფწ-თი (IFR), საიდანაც სულ მცირე 250 საათი შესრულებული უნდა ჰქონდეს სფწ-თი ვერტმფრენზე; და

დ.ბ.ბ.ბ) მრავალძრავიანი ვერტმფრენის სფწ ინსტრუქტორის (IRI(H)) ოსტატობის შემთხვევაში, აგრეთვე უნდა აკმაყოფილებდეს ამ პუნქტის გ.ბ.გ.ბ) ქვეპუნქტითა და მე-5 პუნქტის დ.გ) ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

ე) საწაფის ინსტრუქტორის (SFI) სერტიფიკატის მოსაპოვებლად:

ე.ა) სდ-ში გავლილი უნდა ჰქონდეს საწაფის ინსტრუქტორის (SFI) მომზადების კურსი, რომელიც უნდა მოიცავდეს:

ე.ა.ა) შესაბამის სხ-ის ტიპზე მომზადების სასწავლო კურსის საწაფზე წვრთნის (FSTD) საკითხებს;

ე.ა.ბ) ამ პუნქტის „გ.ა.ა“, „**გ.ა.ბ.“, „გ.ა.გ.“,** ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ, სხ-ის ტიპის ინსტრუქტორის (TRI) მომზადების კურსის ნაწილებს;

შენიშვნა: SFI ოსტატობა/სერტიფიკატის მაძიებელს, რომელიც ფლობს შესაბამისი სხ-ის ტიპის ინსტრუქტორის (TRI) ოსტატობას/სერტიფიკატს, ამ პუნქტის მოთხოვნები ჩაეთვლება სრულად დაკმაყოფილებულად.

ე.ბ) უნდა ფლობდეს ან ფლობდა კომერციული პილოტის (CPL) ან ავიაკომპანიის სატრანსპორტო პილოტის (ATPL) მოწმობას შესაბამისი სახეობის საჰაერო ხომალდზე და ამასთან ერთად აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ე.ბ.ა) განაცხადის წარდგენამდე 12 თვის განმავლობაში გავლილი აქვს ტიპის ოსტატობის მოპოვებისთვის საჭირო საკვალიფიკაციო შემოწმება საჰაერო ხომალდის ტიპის შესაბამის სწრულპილოტაჟიან საწაფზე (FFS);

ე.ბ.ბ) მრავალპილოტიან თვითმფრინავზე ან ვსხ-ზე - ნაფრენი უნდა ჰქონდეს სულ მცირე 1500 საათი მრავალპილოტიან თვითმფრინავზე ან ვსხ-ზე განაცხადის შესაბამისად და განაცხადის წარდგენამდე 12 თვის განმავლობაში პილოტის ან დამკვირვებლის რანგში სულ მცირე შესრულებული უნდა ჰქონდეს:

ე.ბ.ბ.ა) სამი მარშრუტი სექტორი შესაბამისი სხ-ის ტიპზე, რომელიც აღჭურვილია იდენტური ეკიპაჟის კაბინით; ან

ე.ბ.ბ.ბ) ორი მარშრუტზე ორიენტირებული საფრენოსნო წვრთნა (LOFT) მოთხოვნილ სხ-ის ტიპის ეკიპაჟის კაბინით აღჭურვილ საწაფზე, რომელიც უნდა მოიცავდეს არანაკლებ 2 საათის ხანგრძლივობის 2 ფრენას, რომელთაგან თითოეული უნდა შესრულდეს 2 სხვადასხვა აეროდრომს შორის და უნდა ითვალისწინებდეს ფრენასთან დაკავშირებულ გაფრენისწინა და ფრენის შემდგომ ბრიფინგებს.

ე.ბ.გ) ერთპილოტიანი მაღალეფექტური მახასიათებლების მქონე კომპლექსურ თვითმფრინავზე:

ე.ბ.გ.ა) მეთაურის რანგში ნაფრენი უნდა ჰქონდეს სულ მცირე 500 საათი ერთპილოტიან თვითმფრინავზე;

ე.ბ.გ.ბ) ფლობდეს ან ფლობდა მრავალძრავიან თვითმფრინავზე სფწ ოსტატობას (IR(A)); და

ე.ბ.გ.გ) აკმაყოფილებს ამ პუნქტის ,,ე.ბ.ბ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

ე.ბ.დ) ვერტმფრენზე საწაფის ინსტრუქტორის (SFI(H)) ოსტატობის/სერტიფიკატის მოპოვებისათვის:

ე.ბ.დ.ა) განაცხადის წარდგენამდე 12 თვის განმავლობაში პილოტის ან დამკვირვებლის რანგში ნაფრენი უნდა ჰქონდეს სულ მცირე 1 საათი განაცხადით მოთხოვნილ სხ-ის ტიპის ეკიპაჟის კაბინაში;

ე.ბ.დ.ბ) მრავალპილოტიან ვერტმფრენზე - ნაფრენი უნდა ჰქონდეს სულ მცირე 1000 საათი ვერტმფრენის პილოტის რანგში, საიდანაც 350 საათი შესრულებული უნდა იყოს მრავალპილოტიან ვერტმფრენ(ებ)ზე მეთაურის რანგში;

ე.ბ.დ.გ) ერთპილოტიან მრავალძრავიან ვერტმფრენზე - ნაფრენი უნდა ჰქონდეს სულ მცირე 500 საათი ვერტმფრენის პილოტის რანგში, საიდანაც 100 საათი შესრულებული უნდა იყოს ერთპილოტიანი მრავალძრავიანი ვერტმფრენის მეთაურის რანგში;

ე.ბ.დ.დ) ერთპილოტიან ერთძრავიან ვერტმფრენზე - ნაფრენი ჰქონდეს სულ მცირე 250 საათი ვერტმფრენის პილოტის რანგში.

ე.გ) გავლილი უნდა ჰქონდეს კომპეტენციის შეფასება ამ მუხლის მე-6 პუქნტის მოთხოვნების თანახმად, შესაბამის სახეობის სხ-ზე.

ვ) მრავალწევრიანი ეკიპაჟის ურთიერთქმედების ინსტრუქტორი („MCCI“) **ოსტატობის/ სერტიფიკატის მოსაპოვებლად პილოტი:**

ვ.ა) უნდა ფლობდეს სასწავლო დაწესებულებაში სათანადო თეორიული სწავლებისა და ინსტრუქტორის საფრენოსნო მომზადების კურსის გავლის დამადასტურებელ დოკუმენტ(ებ)ს. აღნიშნული სასწავლო კურსი:
ვ.ა.ა) უნდა მოიცავდეს:
ვ.ა.ა.ა) სწავლებისა და სწავლის მეთოდების 25 საათს, რომელიც უნდა მოიცავდეს ამ პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ელემენტებს;
ვ.ა.ა.ბ) იმ საწაფთან (FSTD) დაკავშირებულ ტექნიკურ მომზადებას, რომელზეც განმცხადებელს სურს ინსტრუქტორის უფლებამოსილების მოპოვება;
ვ.ა.ა.გ) 3 საათიან პრაქტიკულ წვრთნას, რომელიც შეიძლება იყოს საფრენოსნო მომზადება ან MCC სწავლება შესაბამის საწაფზე FNPT II/III MCC, FTD 2/3 ან FFS-ზე, სასწავლო დაწესებულების მიერ ამ მიზნებისთვის დანიშნული TRI, SFI ან MCCI-ის ზედამხედველობის ქვეშ. ზედამხედველობის ქვეშ განხორციელებული, აღნიშნული საფრენოსნო მომზადების საათები უნდა მოიცავდეს განმცხადებლის/ინსტრუქტორობის კანდიდატის კომპეტენციის შეფასებას, ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად;

შენიშვნა: MCCI ოსტატობის/სერტიფიკატის მაძიებელს, რომელიც ფლობს ან ფლობდა საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორის (FI), სხ-ის ტიპის ინსტრუქტორის (TRI), სხ-ის კლასის ინსტრუქტორის (CRI) ან საწაფის ინსტრუქტორის (SFI) ოსტატობას/ სერტიფიკატს, სრულად დაკმაყოფილებულად ჩაეთვლება ამ პუნქტის ვ.ა.ა.ა) ქვეპუნქტის მოთხოვნები;

ვ.ბ) უნდა ფლობდეს ან ფლობდა კომერციული პილოტის (CPL) ან ავიაკომპანიის სატრანსპორტო პილოტის (ATPL) მოწმობას შესაბამისი სახეობის საჰაერო ხომალდზე და უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ვ.ბ.ა) თვითმფრინავების და ვსხ-ს შემთხვევაში - მრავალპილოტიანი ექსპლუატაციის პირობებში პილოტის რანგში ნაფრენი უნდა ჰქონდეს სულ მცირე 1500 საათი, საიდანაც სულ მცირე 350 საათი ნაფრენი ექნება შესაბამის სხ-ის სახეობაზე;

ვ.ბ.ბ) ვერტმფრენების შემთხვევაში - მრავალპილოტიანი ექსპლუატაციის პირობებში პილოტის რანგში ნაფრენი უნდა ჰქონდეს სულ მცირე 1000 საათი, საიდანაც სულ ცოტა 350 საათი შესრულებული ექნება მრავალპილოტიან ვერტმფრენზე;

შენიშვნა : ინსტრუქტორის უფლებამოსილების გაგრძელების ან ინსტრუქტორის სხვა ოსტატობის/სერტიფიკატის მოპოვებისათვის პილოტს შესრულებულად ეთვლება ინსტრუქტორის ოსტატობის პირველად მიღებისათვის დემონსტრირებული სწავლების და სწავლის უნარჩვევები.

ზ) საფრენოსნო ეკიპაჟის წევრის ინსტრუქტორი უფლებამოსილია გახორციელოს ამ წესის 37-ე მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული (**UPRT)** სასწავლო კურსი, თუ აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ზ.ა.) ნაფრენი უნდა ჰქონდეს თვითმფრინავზე სულ მცირე 500 საათი, საიდანაც 200 საათი ნაფრენი უნდა ჰქონდეს ინსტრუქტორის რანგში;

ზ.ა.ბ) გავლილი უნდა ჰქონდეს UPRT ინსტრუქტორის მომზადების სასწავლო კურსი სდ-ში, მომზადების პარალელურად უწყვეტად განხორციელებული კომპეტენციის შეფასებით;

ზ.ა.გ) ფლობდეს სდ-ს მიერ გაცემულ, კურსის დასრულების სერტიფიკატს, აგრეთვე სდ-ს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილ შესაბამის ჩანაწერს საფრენოსნო წიგნაკში;

ზ.ბ) უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში გავლილი აქვს განმეორებითი (Refresher) სწავლება და სდ-სგან მიღებული აქვს დადებითი შეფასება UPRT-ის მომზადების ჩატარებაში.

ზ.გ) ინსტრუქტორს შეუძლია განახორციელოს UPRT ინსტრუქტორის მომზადების სასწავლო კურსი, თუ მას:

ზ.გ.ა) UPRT მომზადების სასწავლო კურსის ფარგლებში შესრულებული აქვს 25 საათი საფრენოსნო მომზადება;

ზ.გ.ბ) შესრულებული აქვს UPRT მომზადების შემდგომი კომპეტენციის შეფასება;

ზ.გ.გ) აკმაყოფილებს ამ პუნქტის ,,ზ.ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

ზ.გ.დ.) ამ პუნქტით დადგენილი მოთხოვნების თანახმად მინიჭებული უფლებამოსილება უნდა აისახოს პილოტის საფრენოსნო წიგნაკში და დამოწმებული უნდა იქნას გამომცდელის ხელმოწერით;

თ) თითოეული ინსტრუქტორის მიმართ დადგენილი მოთხოვნების ფარგლებში, ნებისმიერ კანდიდატს გავლილი უნდა ჰქონდეს სწავლება, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ელემენტებს:

თ.ა) სწავლებისთვის საჭირო რესურსების მომზადება;

თ.ბ) სწავლების ხელშემწყობი გარემოს შექმნა;

თ.გ) ცოდნის გამოვლენა;

თ.დ) ინტეგრირებული საფრთხის და შეცდომის მენეჯმენტი (TEM) და ეკიპაჟის რესურსების მენეჯმენტი;

თ.ე) სასწავლო მიზნების მისაღწევად დროის მართვა;

თ.ვ) სწავლის ხელშეწყობა;

თ.ზ) სტუდენტის შეფასება;

თ.თ) პროგრესის მონიტორინგი და შეფასება;

თ.ი) სწავლების ეტაპების შეფასება;

თ.კ) შედეგის ანგარიშის მომზადება.

4. საფრენოსნო ეკიპაჟის წევრის **გამომცდელის ოსტატობის/სერტიფიკატის მოპოვებისათვის** პილოტმა უნდა მოახდინოს გამომცდელის უფლებამოსილებისათვის სათანადო ცოდნის და გამოცდილების დემონსტრირება. აგრეთვე, უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში, მას არ უნდა ჰქონდეს ჩამორთმეული ან შეზღუდული ამ წესის თანახმად გაცემული მოწმობა, ოსტატობა ან სერტიფიკატი, კანონმდებლობის მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო და უნდა დააკმაყოფილოს ქვემოთ მოყვანილი შესაბამისი მოთხოვნები:

ა) **საფრენოსნო გამომცდელის (FE) ოსტატობის/სერტიფიკატისათვის** - უნდა ფლობდეს საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორის (FI) ოსტატობას;

ბ) სხ-ის კლასზე გამომცდელის (CRE) ოსტატობის/სერტიფიკატისათვის:

ბ.ა) უნდა ფლობდეს თვითმფრინავის კომერციული პილოტის მოწმობას (CPL(A)) ან თვითმფრინავის ავიაკომპანიის სატრანსპორტო პილოტის მოწმობას (ATPL(A)) ერთპილოტიანი ექსპლუატაციის უფლებით, ან წარსულში ფლობდა ამ მოწმობას (ATPL(A)) და ამჟამად ფლობს მოყვარული პილოტის მოწმობას თვითმფრინავზე (PPL(A));

ბ.ბ) უნდა ფლობდეს სხ-ის კლასის ინსტრუქტორის (CRI) ან საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორის (FI) ოსტატობას, შესაბამისი კლასის ინსტრუქტორის უფლებამოსილებით;

ბ.გ) უნდა ჰქონდეს 500 საათის ოდენობით თვითმფრინავის პილოტის რანგში ფრენის გამოცდილება.

გ) სხ-ის ტიპზე გამომცდელის (TRE) ოსტატობის/სერტიფიკატისათვის:

გ.ა) თვითმფრინავის (TRE(A)) და ვსხ-ს (TRE(PL)) შემთხვევაში:

გ.ა.ა) უნდა ფლობდეს კომერციული პილოტის მოწმობას (CPL (A) ან ავიაკომპანიის სატრანსორტო პილოტის მოწმობას (ATPL(A) და სხ-ის ტიპის ინსტრუქტორის (TRI(A) ოსტატობას შესაბამის სხ-ის ტიპზე;

გ.ა.ბ) ოსტატობის/ სერტიფიკატის პირველად მოპოვებისას, სხ-ის ტიპის ინსტრუქტორის (TRI), საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორის (FI) ან საწაფის ინსტრუქტორის (SFI) რანგში განხორციელებული უნდა ჰქონდეს საფრენოსნო მომზადება 50 საათის ოდენობით, შესაბამისი სხ-ის ტიპზე ან ამ სხ-ის ტიპის საწაფზე (FSTD);

გ.ა.გ) მრავალპილოტიანი თვითმფრინავისა და ვსხ-სათვის - ნაფრენი უნდა ჰქონდეს 1500 საათი შესაბამის სხ-ზე, საიდანაც სულ მცირე 500 საათი შესრულებული უნდა ჰქონდეს მეთაურის რანგში;

გ.ა.დ) ერთპილოტიანი მაღალეფექტური მახასიათებლების მქონე კომპლექსური თვითმფრინავისათვის - ნაფრენი უნდა ჰქონდეს 500 საათი პილოტის რანგში ერთპილოტიან თვითმფრინავზე, საიდანაც 200 საათი შესრულებული ექნება მეთაურის რანგში;

გ.ბ) ვერტმფრენის (TRE(H)) შემთხვევაში:

გ.ბ.ა) უნდა ფლობდეს ვერტმფრენზე ტიპის ინსტრუქტორის (TRI(H)) ოსტატობას/ სერტიფიკატს ან, ერთპილოტიანი ერთძრავიანი ვერტმფრენის შემთხვევაში - საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორის (FI(H)) მოქმედ ოსტატობას/ სერტიფიკატს ვერტმფრენის შესაბამის ტიპზე;

გ.ბ.ბ) ოსტატობის/ სერტიფიკატის პირველად მოპოვებისას, სხ-ის ტიპის ინსტრუქტორის (TRI), საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორის (FI) ან საწაფის ინსტრუქტორის (SFI) რანგში განხორციელებული უნდა ჰქონდეს საფრენოსნო მომზადება 50 საათის ოდენობით, შესაბამისი სხ-ის ტიპზე ან ამ სხ-ის ტიპის საწაფზე (FSTD);

გ.ბ.გ) მრავალპილოტიანი ვერტმფრენისათვის - უნდა ფლობდეს კომერციული პილოტის მოწმობას (CPL(H)) ან ავიაკომპანიის სატრანსორტო პილოტის მოწმობას (ATPL(H)) ვერტმფრენზე და ნაფრენი უნდა ჰქონდეს 1500 საათი მრავალპილოტიან ვერტმფრენზე პილოტის რანგში, საიდანაც სულ მცირე 500 საათი შესრულებული ექნება მეთაურის რანგში;

გ.ბ.დ) ერთპილოტიანი მრავალძრავიანი ვერტმფრენისათვის:

გ.ბ.დ.ა) ნაფრენი უნდა ჰქონდეს 1000 საათი ვერტმფრენზე პილოტის რანგში, საიდანაც სულ მცირე 500 საათი შესრულებული ექნება მეთაურის რანგში;

გ.ბ.დ.ბ) უნდა ფლობდეს კომერციული პილოტის მოწმობას (CPL(H)) ან ავიაკომპანიის სატრანსორტო პილოტის მოწმობას (ATPL(H)) ვერტმფრენზე და, საჭიროების შემთხვევაში, ვერტმფრენზე სფწ ოსტატობას (IR(H));

გ.ბ.ე) ერთპილოტიანი ერთძრავიანი ვერტმფრენისათვის:

გ.ბ.ე.ა) ნაფრენი უნდა ჰქონდეს 750 საათი ვერტმფრენზე პილოტის რანგში, საიდანაც სულ მცირე 500 საათი შესრულებული ექნება მეთაურის რანგში;

გ.ბ.ე.ბ) უნდა ფლობდეს კომერციული პილოტის მოწმობას (CPL(H)) ან ავიაკომპანიის სატრანპორტო პილოტის მოწმობას (ATPL(H)) ვერტმფრენზე;

გ.ბ.ვ) ერთპილოტიანი მრავალძრავიანი ვერტმფრენის ტიპზე გამომცდელის (TRE(H)) უფლებამოსილების იმავე ტიპის მრავალპილოტიან მრავალძრავიან ვერტმფრენზე გავრცელებამდე, ნაფრენი უნდა ჰქონდეს არანაკლებ 100 საათი მრავალპილოტიანი ექსპლუატაციის პირობებში ამავე ტიპზე.

გ.ბ.ზ) მრავალპილოტიანი მრავალძრავიანი ვერტმფრენის ტიპზე გამომცდელის (TRE(H)) ოსატობის/ სერტიფიკატის პირველად გაცემის შემთხვევაში, ამ პუნქტის გ.ბ.გ) ქვეპუნქტის მოთხოვნა, მრავალპილოტიან ვერტმფრენზე 1500 საათიანი საფრენოსნო გამოცდილების შესახებ, ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, თუ მაძიებელს ამავე ტიპის მრავალპილოტიანი შეულმფრენის მეთაურის რანგში ნაფრენი აქვს 500 საათი.

დ) სფწ გამომცდელის (IRE) ოსტატობისათვის:

დ.ა) თვითმფრინავის (IRE(A)) შემთხვევაში:

დ.ა.ა) უნდა ფლობდეს თვითმფრინავზე სფწ ინსტრუქტორის ოსტატობას/(IRI(A)) ან საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორის (FI(A)) ოსტატობას სფწ ოსტატობის წვრთნის უფლებამოსილებით, შესაბამისი სახეობის საჰაერო ხომალდზე და უნდა აკმაყოფილებდეს ნაფრენი საათების მიმართ დადგენილ შემდეგ მოთხოვნებს:

დ.ა.ა.ა) თვითმფრინავის პილოტის რანგში ნაფრენი უნდა ჰქონდეს 2000 საათი; და

დ.ა.ა.ბ) ნაფრენი ჰქონდეს სფწ-ით 450 საათი, საიდანაც 250 საათი შესრულებული ექნება ინსტრუქტორის რანგში;

დ.ბ) ვერტმფრენის (IRE(H)) შემთხვევაში:

დ.ბ.ა) კანდიდატი უნდა ფლობდეს ვერტმფრენზე სფწ ინსტრუქტორის ოსტატობას (IRI(H)) ან საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორის (FI(H)) ოსტატობას სფწ ოსტატობისათვის მომზადების უფლებამოსილებით, შესაბამისი სახეობის საჰაერო ხომალდზე და უნდა აკმაყოფილებდეს ნაფრენი საათების მიმართ დადგენილ შემდეგ მოთხოვნებს:

დ.ბ.ა.ა) ვერტმფრენის პილოტის რანგში ნაფრენი უნდა ჰქონდეს 2000 საათი; და

დ.ბ.ა.ბ) ნაფრენი ჰქონდეს სფწ-ით 300 საათი, საიდანაც 200 საათი შესრულებული უნდა იყოს ინსტრუქტორის რანგში;

ე) საწაფზე გამომცდელის (SFE) სერტიფიკატის გაცემისათვის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ე.ა) თვითმფრინავების (SFE(A)) შემთხვევაში:

ე.ა.ა) მრავალპილოტიანი თვითმფრინავისათვის:

ე.ა.ა.ა) ფლობს ან ფლობდა ავიაკომპანიის სატრანსპორტო პილოტის მოწმობას თვითმფრინავზე (ATPL(A)) და თვითმფრინავის შესაბამისი ტიპის ოსტატობას;

ე.ა.ა.ბ) ფლობს საწაფის ინსტრუქტორის (SFI(A)) სერტიფიკატს შესაბამისი ტიპის თვითმფრინავზე; და

ე.ა.ა.გ) მრავალპილოტიან თვითმფრინავზე პილოტის რანგში ნაფრენი ჰქონდეს სულ მცირე 1500 საათი;

ე.ა.ბ) ერთპილოტიანი მაღალეფექტური მახასიათებლების მქონე კომპლექსური თვითმფრინავებისათვის:

ე.ა.ბ.ა) ფლობს ან ფლობდა კომერციული პილოტის მოწმობას თვითმფრინავზე (CPL(A)) ან ავიაკომპანიის სატრანსპორტო პილოტის მოწმობას თვითმფრინავზე (ATPL(A)) და თვითმფრინავის შესაბამისი ტიპის ოსტატობას;

ე.ა.ბ.ბ) ფლობს საწაფის ინსტრუქტორის (SFI(A)) სერტიფიკატს შესაბამისი ტიპის თვითმფრინავზე; და

ე.ა.ბ.გ) ნაფრენი ჰქონდეს სულ მცირე 500 საათი ერთპილოტიან თვითმფრინაზე პილოტის რანგში;

ე.ა.გ) საწაფზე გამომცდელის სერტიფიკატის (SFE) პირველად მოპოვებისათვის - ჩატარებული ჰქონდეს სულ მცირე 50 საათი საწაფზე საფრენოსნო მომზადება სხ-ის ტიპზე ინსტრუქტორის (TRI) ან საწაფის ინსტრუქტორის რანგში (SFI);

ე.ბ) ვერტმფრენის (SFE(H)) შემთხვევაში:

ე.ბ.ა.) ფლობს ან ფლობდა ავიაკომპანიის სატრანსპორტო პილოტის მოწმობას ვერტმფრენზე (ATPL(H)) და ვერტმფრენის შესაბამისი ტიპის ოსტატობას;
ე.ბ.ბ) ფლობს საწაფის ინსტრუქტორის სერტიფიკატს (SFI(H)) ვერტმფრენზე;
ე.ბ.გ) ნაფრენი ჰქონდეს სულ მცირე 1000 საათი მრავალპილოტიან ვერტმფრენ(ებ)ზე პილოტის რანგში;
ე.ბ.დ) საწაფზე გამომცდელის სერტიფიკატის (SFE) პირველად მოპოვებისათვის - ჩატარებული უნდა ჰქონდეს სულ მცირე 50 საათი საწაფზე საფრენოსნო მომზადება სხ-ის ტიპზე ინსტრუქტორის (TRI) ან საწაფის ინსტრუქტორის რანგში (SFI);

ვ) საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორის გამომცდელის (FIE) ოსტატობის/ სერტიფიკატისათვის:

ვ.ა) თვითმფრინავის საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორის გამომცდელის (FIE(A)) უფლებამოსილების მაძიებელი, რომელსაც სურს განახორციელოს კომპეტენციის შეფასება, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ვ.ა.ა) ფლობდეს ამ მუხლის მე-2 პუნქტის მ.ა) ქვეპუნქტში აღნიშნული ინსტრუქტორების შესაბამის ინსტრუქტორის ოსტატობას/ სერტიფიკატს;
ვ.ა.ბ) ნაფრენი ჰქონდეს 2000 საათი თვითმფრინაზე პილოტის რანგში; და
ვ.ა.გ) ინსტრუქტორის უფლებამოსილების მაძიებელთათვის ჩატარებული ჰქონდეს საფრენოსო წვრთნა სულ მცირე 100 საათის ოდენობით;

ვ.ბ) ვერტმფრენის საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორის გამომცდელის (FIE(H)) უფლებამოსილების მაძიებელი, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ვ.ა.ა) ფლობდეს ამ მუხლის მე-2 პუნქტის მ.ბ) ქვეპუნქტში აღნიშნული ინსტრუქტორების შესაბამის ინსტრუქტორის ოსტატობას/ სერტიფიკატს;
ვ.ა.ბ) ნაფრენი ჰქონდეს 2000 საათი ვერტმფრენზე პილოტის რანგში;
ვ.ა.გ) ინსტრუქტორის უფლებამოსილების მაძიებელთათვის ჩატარებული ჰქონდეს საფრენოსო წვრთნა სულ მცირე 100 საათის ოდენობით;

ვ.გ) თავისუფალი აეროსტატის საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორის გამომცდელის (FIE(B)) უფლებამოსილების მაძიებელი, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ვ.გ.ა) ფლობდეს ამ მუხლის მე-2 პუნქტის მ.გ) ქვეპუნქტში აღნიშნული ინსტრუქტორის ოსტატობას/ სერტიფიკატს;
ვ.გ.ბ) ნაფრენი ჰქონდეს 350 საათი თავისუფალი აეროსტატის პილოტის რანგში;
ვ.გ.გ) ინსტრუქტორის უფლებამოსილების მაძიებელთათვის ჩატარებული ჰქონდეს საფრენოსო წვრთნა სულ მცირე 10 საათის ოდენობით;

5. საფრენოსნო ეკიპაჟის წევრის ინსტრუქტორის უფლებამოსილება იზღუდება:

ა) საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორისათვის (FI) უფლებამოსილება უნდა შემოიფარგლოს სდ-ს მიერ ამ მიზნისთვის გამოყოფილი, სხ-ის იმავე სახეობის ფრენის ინსტრუქტორის ზედამხედველობის ქვეშ საფრენოსნო სწავლების ჩატარებით, შემდეგ შემთხვევებში:

ა.ა) მოყვარული პილოტის (PPL), პლანერის პილოტის (SPL) და თავისუფალი აეროსტატის პილოტის (BPL) მოწმობის გაცემისათვის;

ა.ბ) ერთძრავიან ერთპილოტიან სხ-ის კლასზე ოსტატობის მოპოვებისთვის;

ა.გ) ღამე ფრენის ოსტატობის მოპოვებისათვის;

ბ) ამ პუნქტის ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვების (ზედამხედველობის ქვეშ ჩატარებული სწავლების) მოქმედების პერიოდში, საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორს არ აქვს პილოტ-კურსანტის პირველ დამოუკიდებელ ფრენაზე და პირველ დამოუკიდებელ სამარშრუტო ფრენაზე დაშვების უფლება;

გ) საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორის უფლებამოსილების ამ პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტებით დადგენილი შეზღუდვები მოიხსნება იმ შემთხვევაში, თუ საფრენოსნო წვრთნის ინსტუქტორი დააკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

გ.ა) თვითმფრინავზე საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორის (FI(A)) შემთხვევაში - იფრენს არანაკლებ 100 საათს ინსტრუქტორის რანგში თვითმფრინავზე და დამატებით, ზედამხედველობას გაუწევს პილოტ-კურსანტის არანაკლებ 25 დამოუკიდებელ ფრენას;

გ.ბ) ვერტმფრენზე საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორის (FI(H)) შემთხვევაში - იფრენს არანაკლებ 100 საათს ინსტრუქტორის რანგში ვერტმფრენზე და დამატებით, ზედამხედველობას გაუწევს პილოტ-კურსანტის არანაკლებ 25 დამოუკიდებელ საფრენოსნო სავარჯიშოს შესრულებას;

გ.გ) თავისუფალი აეროსტატის საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორის (FI(B)) შემთხვევაში - თავისუფალ აეროსტატზე ინსტრუქტორის რანგში იფრენს არანაკლებ 15 საათს ან შესრულებული ექნება 50 აფრენა (გაშვება), რომელიც მოიცავს თავისუფალი აეროსტატის პილოტის (BPL) მოწმობის გაცემისათვის საჭირო სრულ პროგრამას.

დ) სხ-ის ტიპის ინსტრუქტორისათვის (TRI):

დ.ა) თუ სხ-ის ტიპის ინსტრუქტორის მომზადება ჩატარდა მხოლოდ საწაფზე (FSTD), მისი უფლებამოსილება უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ საწაფზე (FSTD) სწავლებით. თუმცა, სხ-ის ტიპის ინსტრუქტორი (TRI) უფლებამოსილია სხ-ზე განახორციელოს:

დ.ა.ა) პილოტის მწყობრში შეყვანის პროგრამა (LIFUS), იმ პირობით, რომ მას გავლილი აქვს მე-ამ წესის 12 მუხლის მე-3 პუნქტის გ.ა.გ.გ.ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული სწავლება;

დ.ა.ბ) სხ-ით დაფრენის წვრთნა (Landing Training), იმ პირობით, რომ მას გავლილი აქვს მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის გ.ა.გ.გ.ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული სწავლება;

დ.ბ) თვითმფრინავის და ამწევი ძალის სამატი სისტემებით აღჭურვილი საჰაერო ხომალდის ტიპის ინსტრუქტორის (TRI(A) და TRI(PL)) უფლებამოსილება შემოიფარგლება მხოლოდ იმ ტიპის საჰაერო ხომალდზე, რომელზეც განხორციელდა სწავლება და კომპეტენციის შეფასება. ტიპის ოსტატობის ინსტრუქტორის უფლებამოსილება გავრცელდება სხვა ტიპის სხ-ებზეც, იმ შემთხვევაში, თუ სხ-ს ტიპის ინსტრუქტორს:

დ.ბ.ა) სხვა ტიპის სხ-ებზე ინსტრუქოტირს უფლებამოსილების გავრცელების შესახებ განაცხადის წარდგენამდე 12 თვის პერიოდში შესრულებული აქვს არანაკლებ 15 სექტორი, აფრენა-დაფრენის ჩათვლით შესაბამისი ტიპის საჰაერო ხომალდზე, საიდანაც 7 სექტორი შესაძლოა შესრულდეს სრულპილოტაჟიან საწაფზე (FFS);

დ.ბ.ბ) გავლილი აქვს სხ-ის ტიპის ინსტრუქტორის (TRI) შესაბამისი კურსის ტექნიკური სწავლებისა და საფრენოსნო მომზადების ნაწილები;

დ.ბ.გ) ჩაბარებული აქვს კომპეტენციის შეფასების შესაბამისი სექციები ამ მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, რათა ამ მუხლით განსაზღვრული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე FIE-ის ან TRE-ის წინაშე მოახდინოს შესაბამისი ტიპის ოსტატობის გასაცემად საჭირო დონეზე სწავლების უნარის დემონსტრირება, გაფრენისწინა, ფრენის შემდგომი და თეორიული სწავლების ჩათვლით.

დ.გ) ვერტმფრენების ტიპის ინსტრუქტორის (TRI(H)) შემთხვევაში - უფლებამოსილებები შეზღუდულია (შემოიფარგლება) ვერტმფრენის იმ ტიპით, რომელზეც განხორციელდა TRI-ს ოსტატობის მოპოვებისათვის კომპეტენციის შეფასება. თუ OSD-თი სხვა რამ არ არის დადგენილი, TRI-ს უფლებამოსილება გავრცელდება სხვა ტიპის ვერტმფრენებზეც, თუ TRI-ის ოსტატობის მფლობელს:

დ.გ.ა) გავლილი აქვს სხ-ის ტიპის ინსტრუქტორის (TRI) სასწავლო კურსის ტექნიკური სწავლებისა და საფრენოსნო მომზადების შესაბამისი ნაწილები;

დ.გ.ბ) სხვა ტიპის სხ-ებზე ინსტრუქოტორის უფლებამოსილების გავრცელების შესახებ განაცხადის წარდგენამდე 12 თვის პერიოდში მოთხოვნილ ვერტმფრენის ტიპზე ნაფრენი აქვს სულ მცირე 10 საათი, საიდანაც სრულპილოტაჟიან საწაფზე (FFS) ან საწვრთნელ მოწყობილობაზე (FTD 2/3) შესრულებული ექნება არაუმეტეს 5 საათისა;
დ.გ.გ) ჩაბარებული აქვს კომპეტენციის შეფასების შესაბამისი სექციები ამ მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, რათა ამ მუხლით განსაზღვრული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე FIE-ის ან TRE-ის წინაშე მოახდინოს შესაბამისი ტიპის ოსტატობის გასაცემად საჭირო დონეზე სწავლების უნარის დემონსტრირება, გაფრენისწინა, ფრენის შემდგომი და თეორიული სწავლების ჩათვლით.

6. საფრენოსნო ეკიპაჟის წევრის ინსტრუქტორის და გამომცდელის უფლებამოსილების მოპოვებისთვის კანდიდატმა (გარდა MCCI ინსტრუქტორისა) **წარმატებით უნდა გაიაროს კომპეტენციის შეფასება** შესაბამისი სახეობის სხ-ის კლასზე/ტიპზე, ან სათანადო საწაფზე, რათა ამ მუხლის თანახმად კვალიფიცირებული, სათანადო უფლებამოსილების მქონე გამომცდელის/სააგენტოს ინსპექტორის, ან სააგენტოს მიერ სათანადოდ უფლებამოსილი უფროსი გამომცდელის წინაშე გამოავლინოს მოსამზადებელი პირის (სტუდენტის) ისეთ დონეზე მომზადების, უნარების/საკვალიფიკაციო შემოწმების ან კომპეტენციის შეფასების ჩატარების უნარი, რომელიც მოითხოვება შესაბამისი მოწმობის, ოსტატობის ან სერტიფიკატის გასაცემად/გასაგრძელებლად.

ა) საფრენოსნო ეკიპაჟის წევრის ინსტრუქტორის კომპეტენციის შეფასება უნდა მოიცავდეს:

ა.ა) ამ მუხლის მე-3 პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტში აღწერილი კომპეტენციების დემონსტრირებას ფრენამდე, ფრენის შემდგომ და თეორიული ცოდნის გადაცემისას;

ა.ბ) ზეპირ თეორიულ გამოცდას მიწაზე, ფრენამდე და ფრენის შემდგომ ბრიფინგებსა და შესაბამისი სხ-ის კლასზე, ტიპზე ან FSTD-ზე ფრენის დემონსტრირებას;

ა.გ) ინსტრუქტორის კომპეტენციების შესაფასებლად შესაფერის სავარჯიშოებს.

ბ) საფრენოსნო ეკიპაჟის წევრის ინსტრუქტორის შეფასება უნდა მოხდეს იგივე კლასის ან ტიპის საჰაერო ხომალდზე ან FSTD-ზე, რომელიც გამოყენებული იქნა საფრენოსნო მომზადებისას.

გ) იმ შემთხვევაში, თუ კომპეტენციის შეფასება ხორციელდება ინსტრუქტორის ოსტატობის/სერტიფიკატის ვადის გაგრძელების მიზნით, და სერტიფიკატის ვადის ამოწურვამდე განმცხადებელი წარმატებით ვერ გაივლის კომპეტენციის შეფასებას, იგი არ არის უფლებამოსილი ისარგებლოს ამ სერტიფიკატით გათვალისწინებული უფლებამოსილებით, თუ სერტიფიკატის ვადის ამოწურვამდე წარმატებით არ გაივლის აღნიშნულ შეფასებას;

დ) სხ-ის ტიპის ინსტრუქტორის (TRI) კომპეტენციის შეფასებისათვის:

დ.ა) მრავალპილოტიანი თვითმფრინავისა და ვსხ-ს ტიპის ინსტრუქტორის კომპეტენციის შეფასება უნდა განხორციელდეს სრულპილოტაჟიან საწაფზე (FFS) ან სხ-ზე, საწაფის არარსებობის შემთხვევაში. იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს, ან არ არის ხელმისაწვდომი (მაგ: არ არის სერტიფიცირებული/აღირებული,დაკავებულია, მწყობრიდან გამოსულია და სხვ.) სრულპილოტაჟიანი შესაბამისი საწაფი, შეფასება შესალებელია განხორციელდეს სხ-ზე.

დ.ბ) ერთპილოტიან მაღალეფექტური მახასიათებლების მქონე კომპლექსურ თვითმფრინავებზე და ვერტმფრენებზე სხ-ის ტიპის ინსტრუქტორის (TRI) კომპეტენციის შეფასება უნდა განხორციელდეს ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობებით:

დ.ბ.ა) სრულპილოტაჟიან საწაფზე, ასეთის არსებობის და ხელმისაწვდომობის შემთხვევაში;

დ.ბ.ბ) საწვრთნელი მოწყობილობისა და საჰაერო ხომალდის კომბინირებით, იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს, ან არ არის ხელმისაწვდომი სრულპილოტაჟიანი საწაფი;

დ.ბ.გ) მხოლოდ საჰაერო ხომალდზე, იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს ან არ არის ხელმისაწვდომი სხვა საწვრთნელი მოწყობილობა.

ე) **საფრენოსნო ეკიპაჟის წევრის გამომცდელის** ოსტატობის/სერტიფიკატის მისაღებად კომპეტენციის დემონსტრირება უნდა მოხდეს სააგენტოს ინსპექტორის ან, სააგენტოს მიერ გამომცდელის სერტიფიკატის გაცემის მიზნით სპეციალურად უფლებამოსილი უფროსი გამომცდელის წინაშე, უნარების/საკვალიფიკაციო შემოწმების ან კომპეტენციის შეფასების ჩატარების გზით, იმ გამომცდელის რანგში, რომლის უფლებამოსილების მოპოვებაც სურს განმცხადებელს. მაძიებლის მიერ ჩატარებული შემოწმება/შეფასება უნდა მოიცავდეს გაფრენისწინა ინსტრუქტაჟს, უნარების/საკვალიფიკაციო შემოწმებას ან კომპეტენციის შეფასებასა და გამოსაცდელი პირის შეფასებას, ფრენის შემდგომ ინსტრუქტაჟსა და ჩანაწერების წარმოებას.

ვ) **დაინტერესებული პირი/საწარმო უზრუნველყოფს გამომცდელის** ოსტატობის კანდიდატის კომპენტენციის შეფასებისათვის საჭირო რესურსის (ფინანსური, ტექნიკური და ადამიანური) გამოყოფას.

ზ) გამომცდელს ეკრძალება თავისი უფლებამოსილების განხორციელება, თუ ადგილი აქვს ინტერესთა კონფლიქტს. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა:

ზ.ა) უნარების შემოწმება, საკვალიფიკაციო შემოწმება ან კომპეტენციის შეფასება იმ პილოტების მოწმობის, ოსტატობის/სერტიფიკატის გაცემისათვის, რომლებსაც მან ჩაუტარა შესაბამისი სასწავლო პროგრამით დადგენილი საფრენოსნო მომზადების (წვრთნის) საერთო მოცულობის 25%-ზე მეტი; ან

ზ.ბ) უნარებისა და საკვალიფიკაციო შემოწმება ან კომპეტენციის შეფასება, თუ თვლის, რომ მისი შეფასება არ იქნება ობიექტური;

ზ.გ) თუ განმეორებით ჩაუტარა შეფასება იმ პილოტს, რომელმაც წარუმატებლად გაიარა წინა შეფასება ამავე გამომცდელთან;

ზ.დ) სხვა გარემოებები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით მიიჩნევა ინტერესთა კონფლიქტად და რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს გამომცდელის მიერ ობიექტური გადაწყვეტილების მიღებაზე;

თ) **უნარების შემოწმების, კვალიფიკაციის შემოწმებისა და კომპეტენციის შეფასების განხორციელებისთვის გათვალისწინებული უნდა იქნას:**

თ.ა) უნარების ან საკვალიფიკაციო შემოწმებისა და კომპეტენციის შეფასების განხორციელებისას გამომცდელი ვალდებულია:

თ.ა.ა) დარწმუნდეს იმაში, რომ პილოტთან კომუნიკაციის დამყარება შესაძლებელია ენობრივი ბარიერის გარეშე;

თ.ა.ბ) შეამოწმოს, რომ პილოტი აკმაყოფილებს კვალიფიკაციის, სწავლების და გამოცდილების მიმართ ამ წესით დადგენილ ყველა მოთხოვნას მოწმობის, ოსტატობის/სერტიფიკატის გაცემის, მოქმედების ვადის გაგრძელების ან განახლების მიზნით, რისთვისაც ხორციელდება უნარების ან საკვალიფიკაციო შემოწმება ან კომპეტენციის შეფასება;

თ.ა.გ) განუმარტოს პილოტს სწავლებისა და საფრენოსნო გამოცდილების შესახებ არასრული, მცდარი ან შეუსაბამო ინფორმაციის მიწოდების შესაძლო შედეგები;

თ.ბ) უნარებისა და საკვალიფიკაციო შემოწმების დასრულების შემდეგ, გამომცდელი ვალდებულია:

თ.ბ.ა) შეატყობინოს პილოტს შემოწმების შედეგები. ნაწილობრივი ჩაბარების ან ჩაჭრის შემთხვევაში, უნდა განუმარტოს, რომ შემოწმების სრულად წარმატებით დასრულებამდე არ აქვს უფლება გამოიყენოს მოწმობით მინიჭებული უფლებამოსილება. გამომცდელმა უნდა მიაწოდოს პილოტს ინფორმაცია შემდგომი სწავლების შესახებ და განუმარტოს, რომ მას აქვს შედეგების გასაჩივრების უფლება;

თ.ბ.ბ) ოსტატობის ვადის გაგრძელების ან განახლების მიზნით საკვალიფიკაციო შემოწმების ან კომპეტენციის შეფასების წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მოწმობის შესაბამის გრაფაში შეიტანოს ჩანაწერი და დააფიქსიროს საკვალიფიკაციო შემოწმების ჩატარების და გაგრძელებული ოსტატობის მოქმედების ვადის ამოწურვის თარიღები, რასაც დაადასტურებს ხელმოწერით და გამომცდელის ინდივიდუალური ბეჭდით, რომელშიც აღნიშნულია გამომცდელის სახელი, გვარი (ან ინიციალები) და ავტორიზაციის ნომერი. გამომცდელს უფლება აქვს განახორციელოს აღნიშნული ჩანაწერი იმ შემთხვევაში თუ საკვალიფიკაციო შემოწმება განახორციელდა მოქმედი ოსტატობის ვადის გასვლამდე 3 თვის განმავლობაში;

თ.ბ.გ) პილოტს გადასცეს უნარების ან საკვალიფიკაციო შემოწმების შედეგების ხელმოწერილი ანგარიში, ამ წესების დანართი №4 შესაბამისად, და შემოწმების ჩატარებიდან 10 დღის ვადაში წარადგინოს სააგენტოში აღნიშნული ფორმის ასლები ელექტრონული ფორმით შემდეგ ელ.ფოსტის მისამართზე: examiner@gcaa.ge;

თ.ბ.დ) დარწმუნდეს, რომ პილოტის გამოცდილება და მომზადება შეესაბამება ამ წესის მოთხოვნებს;

თ.ბ.ე) ამ პუნქტის თ.ბ.გ) ქვეპუნქტში აღნიშნული ფორმა უნდა მოიცავდეს:

თ.ბ.ე.ა) დადასტურებას, რომ ამ წესების დანართი №4-ით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო მანევრი და სავარჯიშო შესრულდა, ასევე, ინფორმაციას ზეპირი გამოკითხვის შესახებ, საჭიროების შემთხვევაში. შემოწმებისას სავარჯიშოს წარუმატებლად დასრულების შემთხვევაში, გამომცდელმა უნდა მიუთითოს უარყოფითი შეფასების მიზეზები;

თ.ბ.ე.ბ) ამ წესების დანართი №4-ით განსაზღვრული შესაბამისი შემოწმების და კომპეტენციის შეფასების შედეგებს;

თ.ბ.ვ) აწარმოოს მის მიერ განხორციელებული უნარების ან საკვალიფიკაციო შემოწმებისა და კომპეტენციის შეფასების ჩანაწერები და უზრუნველყოს მათი შენახვა 5 წლის განმავლობაში.

თ.ბ.ზ) წარმოადგინოს საფრენოსნო წვრთნის, უნარების ან საკვალიფიკაციო შემოწმების შესახებ ყველა ჩანაწერი სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე. გამომცდელმა უნდა წარმოადგინოს ყველა ჩანაწერი და ანგარიში ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელსაც სააგენტო მოითხოვს ზედამხედველობის მიზნებისათვის.

ი) უფროსი გამომცდელი შეიძლება გახდეს გამომცდელი, რომელიც:

ი.ა) ფლობს მოქმედ გამომცდელის სერტიფიკატს;

ი.ბ) აქვს გამომცდელად მუშაობის 2 წლიანი გამოცდილება;

ი.გ) ამ წესების შესაბამისად მოპოვებული გამომცდელის რანგში ჩატარებული აქვს 4 უნარების შემოწმება (skill tests) ან საკვალიფიკაციო შემოწმება (proficiency checks);

7. გამომცდელის ოსტატობის/სერტიფიკატის მაძიებელმა უნდა გაიაროს გამომცდელის სტანდარტიზაციის კურსი სააგენტოში, რომელიც მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ მომზადებას და სულ მცირე:

ა) უნარების/საკვალიფიკაციო შემოწმების ან კომპეტენციის შეფასების შესრულებას, რომელიც უკავშირდება პილოტის მოწმობის, ოსტატობის ან სერტიფიკატის უფლებამოსილების მოპოვებისთვის შემოწმებას/შეფასებას, მაძიებლის საჭიროებიდან გამომდინარე;

ბ) ინსტრუქტაჟს უნარების შემოწმების, საკვალიფიკაციო შემოწმების ან კომპეტენციის შეფასების განხორციელებისათვის საჭირო შესაბამის მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომელიც დადგენილია ამ წესით და სხ-ის ექსპლუატაციის პირობებით, აგრეთვე შესაბამისი დოკუმენტების და ანგარიშგების წარმოების პირობების გაცნობას;

გ) ბრიფინგს, ეროვნული ნორმატიული აქტების, პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართ დადგენილი მოთხოვნების, პასუხისმგებლობების და დაზღვევის შესახებ;

დ) ინფორმაციის მიწოდებას შესაბამისი საკანონმდებლო მოთხოვნების, არსებული პროცედურების, ფორმების და მათზე წვდომის შესახებ;

8. საფრენოსნო ეკიპაჟის წევრის ინსტრუქტორის ოსტატობა აღინიშნება პილოტის მოქმედ მოწმობაში. საფრენოსნო ეკიპაჟის წევრის ინსტრუქტორის სერტიფიკატი, დანართი 28-ის შესაბამისად გაიცემა საწაფის ინსტრუქტორზე და სფწ ინსტრუქტორზე, თუ ის ახორციელებს ინსტრუქტორის უფლებამოსილებას მხოლოდ საწაფზე.

9. გამომცდელის სერტიფიკატს გასცემს სააგენტო, ხოლო თუ გამომცდელი ფლობს მოქმედ მოწმობას, მაშინ შესაბამისი ოსტატობა აისახება მოწმობაშიც.

10. საფრენოსნო ეკიპაჟის წევრის ინსტრუქტორის ოსტატობის/სერტიფიკატის გაცემის შესახებ განმცხადებელმა უნდა მიმართოს სააგენტოს განაცხადით ამ წესის 29-ე დანართის შესაბამისად და წარადგინოს აღნიშნული დანართით გათვალისწინებული დოკუმენტები;

11. გამომცდელის ოსტატობის/სერტიფიკატის გაცემის შესახებ კანდიდატმა ან დაინტერესებულმა საწარმომ უნდა მიმართოს სააგენტოს განაცხადით ამ წესების №18 დანართის შესაბამისად და წარმოადგინოს ამ დანართით გათვალისწინებული დოკუმენტები.

12. თუ გამომცდელის ოსტატობის/სერტიფიკატის კანდიდატი სააგენტოს პილოტ-ინსპექტორთან ან სააგენტოს მიერ უფლებამოსილ გამომცდელთან ვერ გაივლის ამ მუხლის მე-6 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის შესაბამისად კომპეტენციის შეფასებას, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას გამომცდელის ოსტატობის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ და ამის შესახებ აცნობებს განმცხადებელს.

13. უნარების/საკვალიფიკაციო შემოწმების ან კომპეტენციის შეფასებისათვის გამოყენებული საწაფი სერტიფიცირებული/აღიარებული უნდა იყოს სააგენტოს მიერ, ხოლო თუ შემოწმება/შეფასება ხორციელდება სხ-ზე, სხ-ს უნდა ჰქონდეს მოქმედი ვარგისობის სერტიფიკატი.

14. გამომცდელს არ აქვს უფლება ჩაატაროს საკვალიფიკაციო შემოწმება/უნარების შემოწმება, კომპეტენციის შეფასება სხ-ზე, როდესაც ხორციელდება მგზავრების ან ტვირთის გადაყვანა-გადაზიდვა და სფწ-ის პირობების იმიტაცია.

15. სააგენტოს უფლება აქვს შეაჩეროს ან გააუქმოს გამომცდელის ოსტატობა/სერტიფიკატი, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან:

ა) პილოტის შემოწმების პროცესში ვერ უზრუნველყო შემოწმების აუცილებელი სტანდარტების, პროცედურების ან ინსტრუქციების დაცვა;

ბ) არაკეთილსინდისიერად გამოიყენა გამომცდელის უფლებამოსილება;
გ) დაარღვია საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების მოთხოვნები;
დ) წარუმატებლად გაიარა ნებისმიერი შემოწმება ან ოსტატობის დამადასტურებელი შეფასება;
ე) საჰაერო ხომალდის მეთაურის ან გამომცდელის ფუნქციის შესრულებისას მოხდა საავიაციო მოვლენა და მოკვლევის შედეგად დადგინდა მისი პასუხისმგებლობა.

16. გამომცდელის ოსტატობის/სერტიფიკატის გაუქმების/შეჩერების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სააგენტო განიხილავს პილოტ-ინსპექტორის წერილობით ახსნა-განმარტებას და აძლევს მას და დამსაქმებელ ავიასაწარმოს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობას.

17. სააგენტო გამომცდელის ოსტატობის/სერტიფიკატის შეჩერების ან გაუქმების შესახებ აცნობებს გამომცდელს და მის დამსაქმებელ ავიასაწარმოს.

18. გამომცდელის ოსტატობის/სერტიფიკატის სააგენტოს მიერ გაუქმების შემთხვევაში, განმეორებით იმავე პირზე გამომცდელის ოსტატობა არ გაიცემა.

19. გამომცდელის მიერ ჩატარებულ შემოწმებებზე ზედამხედველობას ახორციელებს სააგენტოს პილოტ-ინსპექტორი, რათა უზრუნველყოფილი იქნეს გამომცდელის მიერ თავისი მოვალეობებისა და ფუნქციების მიუკერძოებლად, ყველა სტანდარტისა და მოთხოვნის შესაბამისად შესრულება.

20. სააგენტო აწარმოებს და აქვეყნებს გამომცდელთა რეესტრს სხ-ის სახეობების მიხედვით, ტიპებზე/კლასებზე დაშვებისა და მოქმედების ვადის მითითებით.

21. პილოტის მოწმობის მფლობელს უფლება აქვს გაიაროს უნარებისა და საკვალიფიკაციო შემოწმება სხვა სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ სერტიფიცირებულ გამომცდელთან, რომელსაც აქვს პილოტის უნარების და საკვალიფიკაციო შემოწმების ჩატარების უფლება და აღიარებულია სააგენტოს მიერ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შემოწმება ხორციელდება სააგენტოს მიერ აღიარებულ სდ-ში, რაც დასტურდება აღნიშნული სდ-ს ბეჭდით.

22. გამომცდელს, რომელიც ფლობს სხვა ქვეყნის უფლებამოსილი საავიაციო ხელისუფლების მიერ გაცემულ გამომცდელის ოსტატობას/სერტიფიკატს, არ აქვს უფლება ჩაუტაროს უნარების შემოწმება, საკვალიფიკაციო შემოწმება ან კომპეტენციის შეფასება საქართველოს ავიასპეციალისტის მოწმობის მფლობელს, სანამ იგი არ მოიპოვებს აღიარებას სააგენტოსგან და არ გაეცნობა შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებს და პროცედურებს;

23. ამ მუხლის 21-ე პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, აღიარებით დაინტერესებულმა გამომცდელმა ამ წესის №8 დანართის შესაბამისად უნდა მიმართოს სააგენტოს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე examiner@gcaa.ge. სააგენტო განიხილავს წარმოდგენილ საბუთებს და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში წერილობით, ელ.ფოსტის მეშვეობით აცნობებს განმცხადებელს გამომცდელის აღიარების შესახებ.

4. 41-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 41. საფრენოსნო ეკიპაჟის წევრის ინსტრუქტორის და გამომცდელის ოსტატობის/სერტიფიკატის მოქმედების ვადა, ვადის გაგრძელება და განახლება

1. საფრენოსნო ეკიპაჟის წევრის ინსტრუქტორის და გამომცდელის ოსტატობა/სერტიფიკატი მოქმედია 3 წლის ვადით.
2. საფრენოსნო ეკიპაჟის წევრის ინსტრუქტორის ოსტატობის/სერტიფიკატის გაგრძელების/ განახლების მიზნით:

ა) საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორმა (FI):

ა.ა) ოსტატობის/სერტიფიკატის გაგრძელებისათვის, მისი მოქმედების ვადის გასვლამდე უნდა შეასრულოს ამ ქვეპუნქტის მოთხოვნებიდან სულ მცირე ორი:

ა.ა.ა) თვითმფრინავის ან შვეულმფრენის შემთხვევაში - სხ-ის შესაბამის სახეობაზე, ჩატარებული უნდა ჰქონდეს საფრენოსნო წვრთნა სულ მცირე 50 საათის ოდენობით ინსტრუქტორის (**FI/TRI/CRI/IRI) ან** გამომცდელის რანგში. სფწ ინსტრუქტორის უფლებამოსილების ვადის გასაგრძელებლად, აღნიშნული საათებიდან სულ მცირე 10 საათი განხორციელებული უნდა ჰქონდეს სფწ ინსტრუქტორის რანგში FI-ს ოსტატობის/ სერტიფიკატის ამოწურვამდე 12 თვის პერიოდში. ხოლო, თავისუფალი აეროსტატის შემთხვევაში - ჩატარებული უნდა ჰქონდეს სულ მცირე 6 საათი საფრენოსნო წვრთნა სხ-ზე FI-ს ან გამომცდელის რანგში;

ა.ა.ბ) გავლილი უნდა ჰქონდეს ინსტრუქტორის (FI) განმეორებითი სწავლება (Instructor refresher training) სდ-ში;

ა.ა.გ) წარმატებით ჰქონდეს გავლილი კომპეტენციის შეფასება ამ წესის მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორის ოსტატობის/სერტიფიკატის მოქმედების ვადის ამოწურვამდე 12 თვის პერიოდში.

ა.ბ) ოსტატობის/სერტიფიკატის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ განახლებისათვის განაცხადის გაკეთების თარიღამდე 12 თვის განმავლობაში სდ-ში უნდა გაიაროს ინსტრუქტორის განმეორებითი სწავლება და ამ წესის მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად უნდა გაიაროს კომპეტენციის შეფასება;

ბ) სხ-ის კლასის ინსტრუქტორმა (CRI):

ბ.ა) ოსტატობის/სერტიფიკატის გაგრძელებისთვის, მისი მოქმედების ვადის ამოწურვამდე უნდა შეასრულოს ამ ქვეპუნქტის მოთხოვნებიდან სულ მცირე ორი:

ბ.ა.ა) ჩატარებული უნდა ჰქონდეს საფრენოსნო წვრთნა სულ მცირე 10 საათის ოდენობით ინსტრუქტორის **(CRI)** რანგში. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელს გააჩნია ინსტრუქტორის უფლებამოსილება როგორც ერთძრავიან ისე მრავალძრავიან თვითმფრინავზე, აღნიშნული საფრენოსნო წვრთნის საათები თანაბრად უნდა იქნეს გადანაწილებული ამ ორი კლასის სხ-ს შორის;

ბ.ა.ბ) გავლილი უნდა ჰქონდეს ინსტრუქტორის (CRI) განმეორებითი სწავლება (Instructor refresher training) სდ-ში;

ბ.ა.გ) წარმატებით უნდა ჰქონდეს გავლილი კომპეტენციის შეფასება ამ წესის მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ერთძრავიან ან მრავალძრავიან თვითმფრინავზე, საჭიროების შესაბამისად;

ბ.ბ) ოსტატობის/სერტიფიკატის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ **განახლებისთვის** განაცხადის გაკეთების თარიღამდე 12 თვის პერიოდში განმცხადებელს:

ბ.ბ.ა) სდ-ში გავლილი უნდა ჰქონდეს ინსტრუქტორის (CRI) განმეორებითი სწავლება;

ბ.ბ.ბ) წარმატებით უნდა ჰქონდეს გავლილი კომპეტენციის შეფასება ამ წესის მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად;

გ) სხ-ის ტიპის ინსტრუქტორმა (TRI):

გ.ა) ოსტატობის/სერტიფიკატის გაგრძელებისთვის:

გ.ა.ა) TRI (A) თვითმფრინავების შემთხვევაში, მისი მოქმედების ვადის ამოწურვამდე 12 თვის განმავლობაში უნდა გაიაროს კომპეტენციის შეფასება ამ წესის მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად და შეასრულოს ამ ქვეპუნქტის მოთხოვნებიდან ერთ-ერთი:

გ.ა.ა.ა) ჩატარებული ჰქონდეს სხ-ის ტიპის ოსტატობის სრული ან განმეორებითი სასწავლო კურსის (საწაფზე მომზადება და საკვალიფიკაციო შემოწმება) შემდეგი ელემენტებიდან ერთი მაინც: საწაფზე წვრთნა/მომზადება არანაკლებ 3 საათის ოდენობით ან ერთი საფრენოსნო სავარჯიშო სულ მცირე ერთი საათის ხანგრძლივობით, რომელიც მოიცავს სულ ცოტა ორ აფრენას და დაფრენას;

გ.ა.ა.ბ) გავლილი ჰქონდეს სხ-ს ტიპის ინსტრუქტორის განმეორებითი სასწავლო კურსი სასწავლო დაწესებულებაში.

გ.ა.ბ) TRI (H, PL) ვერტმფრენის და ვსხ-ს შემთხვევაში ოსტატობის ვადის გაგრძელებისათვის, მისი მოქმედების ვადის ამოწურვამდე 12 თვის განმავლობაში უნდა გაიაროს კომპეტენციის შეფასება ამ წესის მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად და შეასრულოს ამ ქვეპუნქტის მოთხოვნებიდან ერთ-ერთი:

გ.ა.ბ.ა) თითოეული სახეობის საჰაერო ხომალდის ტიპზე ან ტიპის შესატყვის FSTD-ზე, რომლისთვისაც ფლობს ინსტრუქტორის უფლებამოსილებას, ჩატარებული ჰქონდეს არანაკლებ 50 საათი საფრენოსნო მომზადება, საიდანაც არანაკლებ 15 ჩატარებული ექნება ოსტატობის ვადის ამოწურვამდე 12 თვის განმავლობაში. TRI(PL)-ის შემთხვევაში, საფრენოსნო მომზადების საათები ნაფრენი უნდა იყოს TRI-ის, SFI ან საწაფზე ფრენის გამომცდელის ან ტიპის ოსტატობის გამომცდელის რანგში. TRI(H)-ის შემთხვევაში, საფრენოსნო მომზადების საათებში ჩაითვლება FI-ის, IRI -ის და ნებისმიერი საფრენოსნო გამომცდელის რანგში ნაფრენი დრო;

გ.ა.ბ.ბ) გაიაროს ტიპის ინსტრუქტორის ოსტატობის განმეორებითი წავლება სასწავლო დაწესებულებაში.

შენიშვნა: 1. თუ პილოტი ფლობს TRI ოსტატობას ერთი და იგივე სახეობის სხვადასხვა ტიპის საჰაერო ხომალდებზე, ერთ ტიპზე TRI ოსტატობის ვადის გასაგრძელებლად გავლილი კომპეტენციის შეფასება ჩაეთვლება ამ სახეობის ყველა სხვა ტიპის TRI ოსტატობის ვადის გაგრძელებისათვის, თუ სხვაგვარად არ არის დადგენილი OSD-ში.

2. თუ *TRI(H)-ი ასევე ფლობს შესაბამისი ტიპის FI(H) ოსტატობას, TRI(H) ოსტატობა მოქმედი იქნება FI(H) სერთიფიკატის ვადის ამოწურვამდე.*

გ.ბ) ოსტატობის/სერტიფიკატის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ **განახლებისათვის** განაცხადის შეტანამდე 12 თვის განმავლობაში გავლილი უნდა ჰქონდეს კომპეტენციის შეფასება მე-6 პუნქტის შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

გ.ბ.ა) TRI(A) **თვითმფრინავის შემთხვევაში**:

გ.ბ.ა.ა) შესრულებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 30 სამარშრუტო სექტორისა, თვითმფრინავის შესაბამის ტიპზე, აფრენა-დაფრენის ჩათვლით, საიდანაც არაუმეტეს 15 სექტორისა შესაძლოა შესრულებულ იქნას საწაფზე;

გ.ბ.ა.ბ) სერტიფიცირებულ სასწავლო დაწესებულებაში გაიაროს TRI განმეორებითი სასწავლო კურსი, რომელიც დაფარავს სასწავლო კურსის შესაბამისი ნაწილებს;

გ.ბ.ბ) TRI (H, PL) ვერტმფრენის და ვსხ-ს შემთხვევაში:

გ.ბ.ბ.ა) გავლილი უნდა ჰქონდეს TRI განმეორებითი სასწავლო კურსი სასწავლო დაწესებულებაში, რომელიც უნდა მოიცავდეს TRI სასწავლო კურსის შესაბამის ელემენტებს; და

გ.ბ.ბ.ბ) ნაფრენი უნდა ჰქონდეს არანაკლებ 10 საათისა სხ-ის შესაბამის ტიპზე, აფრენა-დაფრენების ჩათვლით, საიდანაც არაუმეტეს 5 საათი შესაძლოა შესრულებულ იქნას საწაფზე (FFS-ზე ან FTD 2/3-ზე);

შენიშვნა: თუ პილოტი ფლობს TRI ოსტატობას ერთი და იგივე სახეობის სხვადასხვა ტიპის საჰაერო ხომალდებზე, ერთ ტიპზე ოსტატობის განახლებისათვის გავლილი კომპეტენციის შეფასება ჩაეთვლება ამ სახეობის ყველა სხვა ტიპის TRI ოსტატობის განახლებისათვის, თუ სხვაგვარად არ არის დადგენილი OSD-ში.

დ) სფწ ინსტრუქტორმა (IRI) ოსტატობის/სერტიფიკატის გაგრძელების/ განახლებისათვის უნდა დააკმაყოფილოს ამ პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტით საფრენოსნო წვრთნის ინსტრუქტორის მიმართ დადგენილი შესაბამისი მოთხოვნები;

ე) საწაფის ინსტრუქტორმა (SFI):

ე.ა) სერტიფიკატის გაგრძელებისთვის, მისი მოქმედების ვადის ამოწურვამდე, უნდა შეასრულოს ამ ქვეპუნქტის მოთხოვნებიდან სულ მცირე ორი და დამატებით, სრულპილოტაჟიან საწაფზე (FFS) გაიაროს საკვალიფიკაციო შემოწმება შესაბამისი ტიპის სხ-ის ოსტატობის შენარჩუნებისათვის.:

ე.ა.ა) ჩაატაროს სულ მცირე 50 საათი ინსტრუქტორის ან გამომცდელის რანგში საწაფზე (FSTD), საიდანაც არანაკლებ 15 საათი შესრულებული უნდა იყოს საწაფის ინსტრუქტორის (SFI) სერტიფიკატის მოქმედების ვადის ამოწურვამდე 12 თვის განმავლობაში;

ე.ა.ბ) გაიაროს საწაფის ინსტრუქტორის (SFI) განმეორებითი სწავლება სასწავლო დაწესებულებაში;

ე.ა.გ) ამ წესის მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად გაიაროს კომპეტენციის შეფასების შესაბამისი სექცები.

შენიშვნა: 1. სულ მცირე, სერტიფიკატის ვადის ყოველი მეორე გაგრძელების დროს, სერტიფიკატის მფლობელმა უნდა დააკმაყოფილოს ამ პუნქტის ე.ა.გ) ქვეპუნქტის მოთხოვნა;

2. თუ საწაფის ინსტრუქტორი ფლობს ინსტრუქტორის ერთზე მეტ სერტიფიკატს სხ-ის ერთი და იგივე სახეობის სხვადასხვა ტიპებზე, კომპეტენციის შეფასება, რომელიც განხორციელდა ერთ-ერთ ტიპზე, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას იმავე სახეობის სხ-ების სხვა ტიპებზე მინიჭებული სერტიფიკატის გასაგრძელებლადაც, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საექსპლუატაციო ვარგისობის მონაცემებს.

ე.ბ) სერტიფიკატის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ სერტიფიკატის განახლებისათვის განაცხადის შეტანამდე 12 თვის განმავლობაში:

ე.ბ.ა) უნდა გაიაროს საწაფის ინსტრუქტორის (SFI) განმეორებითი სწავლება სასწავლო დაწესებულებაში;

ე.ბ.ბ) ამ წესის მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად გაიაროს კომპეტენციის შეფასება;

ე.ბ.გ) საწაფზე გავლილი უნდა ჰქონდეს უნარების შემოწმება კონკრეტულად იმ სხ-ის ტიპის ოსტატობის შენარჩუნებისთვის, სხ-ის რომელ ტიპზეც სურს სერტიფიკატის განახლება;

ვ) მრავალწევრიანი ეკიპაჟის ურთიერთქმედების ინსტრუქტორმა (MCCI):

ვ.ა) ოსტატობის/სერტიფიკატის გაგრძელებისთვის, მისი მოქმედების ვადის ამოწურვამდე, 12 თვის პერიოდში უნდა გაიაროს ამ წესის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ.ა.ა.გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პრაქტიკული წვრთნა შესაბამისი ტიპის საწაფზე FNPT II/III MCC, FTD 2/3 ან FFS-ზე;

ვ.ბ) ოსტატობის/სერტიფიკატის განახლებისათვის - მისი მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ მაძიებელმა უნდა გაიაროს ამ წესის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ.ა.ა.ბ" და ,,ვ.ა.ა.გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სწავლება და პრაქტიკული წვრთნა შესაბამისი ტიპის საწაფზე FNPT II/III MCC, FTD 2/3 ან FFS-ზე;

3. **საფრენოსნო ეკიპაჟის წევრის გამომცდელის ოსტატობის/სერტიფიკატის გაგრძელების/განახლებისათვის:**

ა) გამომცდელის ოსტატობის/სერტიფიკატის გაგრძელებისათვის გამომცდელმა უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები:

ა.ა) გამომცდელის ოსტატობის/სერტიფიკატის მოქმედების ვადის ამოწურვამდე ჩატარებული უნდა ჰქონდეს სულ მცირე ექვსი უნარების/საკვალიფიკაციო შემოწმება ან კომპეტენციის შეფასება;

ა.ბ) გამომცდელის ოსტატობის/სერტიფიკატის მოქმედების ვადის ამოწურვამდე 12 თვის განმავლობაში გავლილი უნდა ჰქონდეს გამომცდელის განმეორებითი სწავლება (Examiner refresher course) სააგენტოში.

ა.გ) ა.ა) ქვეპუნქტის თანახმად ჩატარებული უნარების შემოწმების, საკვალიფიკაციო შემოწმების ან კომპეტენციის შეფასებიდან ერთ-ერთი განხორციელებული უნდა იყოს ოსტატობის/სერტიფკატის მოქმედების ვადის ამოწურვამდე 12 თვის განმავლობაში და აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა.გ.ა) შეფასებული უნდა იქნას სააგენტოს უფლებამოსილი ინსპექტორის ან გამომცდელის მიერ;

ა.გ.ბ) უნდა შეესაბამებოდეს ამ წესის მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამის მოთხოვნებს (FCL.1020);

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ გამომცდელი ფლობს ერთზე მეტი სახის გამომცდელის ოსტატობას/ სერტიფიკატს, შესაძლებელია ყველა მათგანის მოქმედების ვადის გაგრძელება თუ იგი აკმაყოფილებს ამ პუნქტის ა.ა) და ა.ბ) ქვეპუნქტების და მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის ე) ქვეპუნქტის მოთხოვნებს.

ბ) გამომცდელის ოსტატობის/სერტიფიკატის განახლებისათვის, გამომცდელის ოსტატობის/ სერტიფიკატის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდგომ, მაძიებელმა უნდა შეასრულოს ამ პუნქტის ა.ბ) ქვეპუნქტის მოთხოვნები და მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის ე) ქვეპუნქტის მოთხოვნები განაცხადის გაკეთებამდე 12 თვის პერიოდში.

გ) გამომცდელის ოსტატობის/სერტიფიკატის გაგრძელება/ განახლება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ახდენს ამ წესის მე-12 მუხლის მე-4, მე-5, მე-6 „თ)" და მე-7 პუნქტების შესაბამის მოთხოვნებთან მუდმივი შესაბამისობის დემონსტრირებას;

მუხლი 2.

1. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2027 წლის 1 იანვრიდან.

2. ამ ბრძანების ამოქმედებამდე, გაცემული პილოტ ინსტრუქტორის და უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის ოსტატობები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას მოქმედების ვადის ამოწურვამდე, ხოლო ვადის ამოწურვის შემდეგ აღნიშნული ოსტატობის მქონე პირებმა უნდა მოიპოვონ შესაბამისი ოსტატობები ამ წესის საფუძველზე.

3. ამ ბრძნების ამოქმედებამდე გაცემული ოსტატობების ფარგლებში ნაფრენი საათები ჩაითვლება, ამ წესის ამოქმედების შემდეგ გასაცემი ოსტატობების/სერტიფიკატების მოპოვებისთვის მოთხოვნილ ნაფრენ საათებში.